ცისკარი.

1871

აგვისტო

წელიწადი მეთხუთმეტე.

წოდება თხზულებათა:

I.—გლეხის ღიღინი (ლექსი). . ი. კერესელიძისა.

II.—აღწერა სტამბოლის აღებისა ოსმალებისა ანუ თურქებისაგან. . . . ალექსანდრე გარსევანოვისა.

III.—ნ. ალბომში. (ლექსი). კნ. ეკატ. ერისთავისა.

IV.—ადელაიდა. (მოთხრობა). იოანე მაისურაძისა.

V.—ასანა ლეკის თავს გადასავალი. ⁖ ⁖ ⁖ ⁖ ⁖ ⁖

ტფილისს.

ჰ. ხაირუზიანის ტიპოგრაფიაში.

1871 №8 (233.) 485

გლეხის ლილინი.

მეფევ, მობძანდი იმ გლეხთა შორის,
ლოცვა-კურთხევა სად ხშირად ისმის;
სადაც წვრილ-შვილნი, მამაო ჩჳჱნნი,
მადიდებელნი არიან შენი!
შენ ხარ ნუგეში, შენ ხარ პატრონი,
შენა ხარ მხსნელი ქართჳჱლთა ერის,
შენ ხარ ძვირფასი ჩჳჱნი ბატონი,
ვამაყობთ რომ ხარ მეფე ძრიელი.
ერთი კი ბძანე ჴელმწიფევ ჩჳჱნო,
მზათა ვართ თავი მსხვერპლად შევწიროთ;
დიდით პატარა, წვრილი შვილებით,
სად ბძანებთ მზათ ვართ იქ შევიკრიბოთ.
მამა-პაპათგან ჩჳჱნ ჩვეულსა ვართ,
მეფის ბძანება მტკიცეთ ვიმარხოთ,
ერთი კი ბძანე და შენსა მტერსა,
რისხვა, ვაება, მსწრაფლ შეუყენოთ.
მოვედ, მობძანდი შენსა სამეფოს,
შენგან არს ბევრჯელ დავალებული,
მოვედ, გიშლია წინ ფიანდაზად,
მადლობით სავსე გული და სული.

4159

დიდო კ ე ლ მ წ ი ფ ე ვ, შენ იყავ, ოდეს
მაჴმადთგან ვიყავით გთელილი,
შენ გადმოგვფინე მშვიდობის კალთა,
და შეგვითვისე როგორც რომ შვილი.
შენ იყავ იმ მთებს, ჩ̃ნ სისხლით სავსეს,
რომ მიანიჭე მშვიდობა სრული;
სადაც დღეს მწყემსი ღიღინით მწყსის ცხვარს
შენ დიდ სახელის მადიდებელი.
მამას მოჴვარე ტყვედ ქმნილი შვილი,
ზოგს ძმა, ზოგს მამა, მამულს თჳს ძენი;
რომელთა შორის დღეს ხშირად ისმის:
„ღმერთო ადიდე კ ე ლ მ წ ი ფ ე ჩ̃ნი.“
მხსნელო! შენ მოგვეც თავისუფლება,
შენ შეგვიწმინდე, შუბლს ოფლი უქმი;
რომელიც დაგვრჩა აწ ჩ̃ნ საკუთრად
შენის წყალობით ვართ ყველა სრული.
ენა ვერ იტყვის ჩ̃ნზედ წყალობას,
რასაც გრძნობს გული, ვერ გამოითქმის;
შენის დიდების, ქ̃ლ მოქმედების,
დიდი სახელი ყოველგან ისმის.
მოვედ, მობძანდი შენსა სამეფოს,
შენგან არს ბევრჯელ დავალებული;
მოვედ, გიშლია წინ ფიანდაზად
მადლობით სავსე გული და სული!

ი. კერესელიძე.

1871 წელსა. სექტემბრის 1-სა.
ტფილისს.

აღწერა სტამბოლის აღებისა ოსმალებისა ანუ თურქებისაგან.

ოსმანმა ანუ ოთმანმა, რომლის საჴელისა გამო თურქნი ანუ ოსმალნი სამხრეთის ასიისანი ანუ სელჯუკნი, უწოდებენ თავის თავსა ოსმანნად ანუ ოსმალად, ათას ორას ოთხმოც და სამსა წელსა დაიპყრა საბერძნეთის იმპერიის (სახემწიფოს) სამთავრო ბითინია, ჟამსა საბერძნეთის კეისრისა ანდრონიკე მეორისა პალეოლოღისა, და აირჩია თავის სატახტო ქალაქად პრუსა ანუ თათრულად ბურსა ქალაქი ანატოლიისა, (ლევანტისა), გინა მცირე აზიისა, რომლისა მახლობლად არის ნაქცევი ტროია ანუ ტროადა ქალაქისა. ხოლო დროსა კეისრისა იოანე მეხუთისა პალეოლოღისა, ანდრონიკე მესამის ძისა, წელსა ათას სამას ორმოც და ერთსა, თურქნი ღელესპონტით ანუ დარდანელის შესართავიდამ შევიდნენ ევროპაში და აიღეს ადრიანოპოლის ქალაქი, და როდესაც იმპერატორი ბერძენთა მანუილ მეორე, დასჯდა მეფედ, მაშინ,—წელსა ათას სამას ოთხმოც და თორმეტსა, თურქების სულთანი ბაიაზეთი შე-

მოადგა სტამბოლსა (კონსტანტინოპოლსა, მაგრამ ვერ აიღო, და ერთსა ომსა შინა თითონ ჩაუარდა ტყვეთა ლანგიემურსა (თათრების მეფესა). ამისა შემდგომად სტამბოლს შემოადგნენ ბაიაზეთის ძე მუსა და სულთანი ამურათი, კეისრის იოანე მეექვსის დროსა, წელსა ათას ოთხას ოც და ოთხსა, მაგრამ ვერც იმათ აიღეს.

მოკჳდა რა სულთან მურადი ანუ ამურათი მეორე, იმის მაგიერად შეიქმნა მემკვიდრედ ტახტისა მაჰხმედ მეორე თურქების სულთანი, ამან აჯობა ყარამანიის მთავრის ჯარსა და თავის ყმად გახადა. ამ გამარჯვებით გათამამებულმა, რომლითაცა დაიმორჩილა სამფლობელო ყარამანისა, (ხორასნის სამეფო, სპარსეთში), მახმედ მეორემ მოინდომა აღება საბერძნეთის სატახტო ქალაქისა სტამბოლისაცა, თუმცა იგი იყო შერიგებული საბერძნეთის კეისრისა კონსტანტინე მეთერთმეტისა.

რასაკჳრველია, აღება სტამბოლისა ოსმალებისაგან იყო საჯელი ღვთისა, მოვლენილი ბერძნებზედა იმათის ურჯულო ქცევისათჳს, რომელნიცა იმდროს ისრე გამრავლდნენ, რომ ღჳთის სჯულგრძელებას გადააჭარბეს. ბერძნებსა ჰქონდათ ერთმანეთში ჩხუბი, წვალება, არეულობა და უთანხმობა; ნაცვლად ქრისტიანულის მშვიდობიანად ქცევისა და სიმდაბლისა, იმათში გახშირდა მტრობა, შური და ყოველი სიბოროტე, რომლისათჳსაცა ღმერთმან მოუვლინა იმათ თავისი რისხვა. ბერძნებმა, რომ გაიგეს მახმედის განზრახვა, არა სთხოვეს ღმერთსა შეწევნა, ლოცვითა და მარხვითა არ მოიმდაბლეს

თავი; არ მოიშალეს თავიანთი ბოროტი ქცევა; ამის მაგიერად ისინი მოემზადნენ მტრის საომრად და წიწაში ჩავლეს და შეინახეს ყოველივე თავიანთი ძვირფასი ნივთები.

მახმედმა ააშენა სტამბოლს ახლო, ზღვის პირზედ ქალაქი, მალიან გაამაგრა, შეიტანა ზარბაზნები, აავსო ხომალდებითა, ნავებითა და დიდის ჯარითა, ამისთჳს რომ სტამბოლის ხალხსა სხუა და სხუა სამეფოებში სავალი ზღვის გზა შეუკრას; ამ გვარის საქმითა სულთანმა დაუწყო საბერძნეთსა მტრობა. ბერძნების იმპერატორმა კონსტანტინემ, გვარით პალეოლოღმა, თავისის დიდკაცობის რჩევითა, გაუგზავნა მახმედს მოციქული და ჰკითხა, რომლის მიზეზისათჳს ააშენა იმან ქალაქი და ამასთანავე სთხოვა პირველის მეგობრულის კავშირისა კელ ახლად დამტკიცება. მახმედმა უპასუხოდ გამოაბრუნა მოციქული კონსტანტინესი და სრულებით არა უთხრარა. ამნაირი ქცევა მახმედისა კონსტანტინემ შერაცხა ნიშნად ომისა და ამისთჳს დაიწყო საომრად მომზადება.

რადგანაც კონსტანტინესა იმედი არა ჰქონდა თავის, ცუდად ნასწავლის ჯარისა და სამზადისზედაც ნაკლებად იყო, ამისგულისათჳს გაუგზავნა ელჩები რომის პაპასა, საფრანგეთსა, გერმანიასა და სხვათა ჴელმწიფეებსა და ჰსთხოვა შემწეობა, მაგრამ ყველამ უარი შემოუთვალა. ამის გამო ბერძნები იძულებულნი შეიქმნენ დაეფარათ თავისი ძველი ქალაქი და ტახტი კეისრისა

ოსმალეებისაგან, მარტო თითონ.

ათას ოთხას ორმოც და ცამეტსა წელსა, დეკემბერში, მახმედმა შეჰკრიფა დიდი ჯარი და შემოადგა გარსა სტამბოლის ქალაქსა. მახმედმა გამოუცხადა თავის ჯარსა, რასაც იშოვნით სტამბოლში, რომელსაც აიღებთ, სულ თქუჱნ გაჩუქებთ. ამ დაპირებამა მალიან გაამხნევა ჯარი და მზათ იყო ყოველი კაცი, რომ სულთანის სურვილი და ბრძანება შეესრულებინა. მახმედმა ააშენებინა ხის კოშკები, ქალაქის გალავანზედ მაღლები, ჩუმად შეათხრევინა ნაღმები ციხის ძირში, მიაზიდვინა გალავანთან კედლის სანგრევი იარაღები, გააკეთებინა თხრილებზედ მრავალი ხიდები, და საშინელი დიდი ხიდი,—სიგრძით ორიათასი ნაბიჯი, შესაერთებლად უბანთა: პერასი გალატასთან, რომ ქალაქსა აღარა ჰქონდეს ზღვაზედ მისავალი გზა.

კონსტანტინე ყოვლის ღონისძიებითა ცდილობდა, ბრძოლითა დაებრკოლებინა ოსმალები და არ გაეკეთებინებინა ხიდები და იარაღები; მაგრამ რას დააკლებდა მცირე და ომში გამოუცდელი ჯარი ბერძნისა საშინელსა ოსმალის მხედრობასა, მაშინ როდესაც ერთს ბერძენზედ მოდიოდა ათასი თურქი. ბერძნებს ილაჯი გაუწყდათ, შევიდნენ ქალაქში და იქ გამაგრდნენ. მთელს სტამბოლს შემოერტყა მტრის ჯარი. კეისარი კონსტანტინე თავისის მეუღლითა, პატრიარხი და მრავალნი ჩინებულნი მოქალაქეები ნიადაგ ეკკლესიაში იყვნენ და ევედრებოდნენ ღმერთსა შემწეობისათჳს მტერზედა, და-

დიოდნენ დიდებაზედა და ხალხს მალას ატანდნენ: ილოცეთ და შეინანეთო. თითონ იმპერატორი ცხენით გარს უვლიდა ქალაქსა და გალავანსა და ამხნევებდა თავის ჯარსა. სადაცა გალავნის კედელი სუსტი იყო, იქ დააყენა დიდი ჯარი და დაადგმევინა მრავალი ზარბაზნები, და იმ ადგილებს შუა დააკიდებინა მრავალი ზარები, ვინიცობაა გაუჭირდეთ, სადაც ზარი დარეკონ, იქ მიეშველოს ჯარი. თუმცა სტამბოლის გალავნის კედლები მუდამ მაგრები იყვნენ, მაგრამ დაუდევნელობისა გამო და დროსაგან, ომის დაწყების დროსა ბევრგან იყო მომზადებული დასანგრევად. ეს იცოდა მახმედმაცა და ამისთჳს მალას ატანდა იმ ადგილებში. თოთხმეტს თებერვალსა ოსმალებმა გააკეთეს ხიდი და მეორეს დღეს დაუწყეს ზედ მისვლით აღება სტამბოლისა, ასე რომ ოც და ათსა დღესა განუყრელი ომი ჰქონდათ და არც ერთს მინუტსა არ უსვენებდნენ ბერძნებსა, რომელნიცა დიდის ვაჟკაცობითა და გულადობითა უსვდებოდნენ ოსმალებსა და არ ანებებდნენ არც ერთს მტკაველსა თავის სატახტო ქალაქის გალავნისასა. მეთოთხმეტესა დღესა ომის გათავებიდამა, ოსმალებმა დაუკრეს ბუკი და მეორეთ შემოერტყნენ სტამბოლსა. დაუწყეს ბერძნებსა გაუწყვეტელი ზარბაზნისა და ისრის სროლა, იმნაირად, რომ რომ კაცს ეგონებოდა ცეცხლის წვიმა მოდისო, ამისგამო ბევრმა ბერძენმა დაანება გალავანს თავი და უპატრონოდ გაუშვეს, მაგრამ ბერძნებიც ხოცდნენ მრავალს ოსმალებსა; რომელიც ოსმალი ავიდოდა კედელ-

ზედა კიბითა, იმას ბერძნები მოჰკლამდნენ და თხრილ-ში ჩაავდებდნენ კიბიანად. კონსტანტინე ცხენით დადი-ოდა და ესვეწებოდა ბერძნებსა, კარგად გაისარჯენით და თქუენი ქუეყანა დაიფარეთო. ჯარის გასამხნევებლად ომის დროსა, კეისარმა უბრძანა ზარის რეკა, რომელ-საცა ჰასუხს აძლევდნენ ოსმალებიცა ბუკებითა და სხუა და სხუა საკრავებითა. ხმაურობა, ოხვრა დაჭრილებისა და მომაკუდავებისა და ხმა ზარბაზნის სროლისა, ერთად შეერთებული, წარმოადგენდა საშინელსა ხრიანცელსა და კიჟინასა, დაფარულსა კომლითა და ბურუსითა, სადაცა კვდებოდნენ მრავალნი. ომი ჰქონდათ საღამომდის, რო-მლისა სიბნელემა გაჰყარა მეომარნი მოსასვენებლად და პურის საჭმელად.

მეორეს დღესა კეისარმა კონსტანტინემა აკრეფინა დახოცილი ბერძნები დასამარხავად, დათვალეს და ათას შვიდას ორმოცი კაცი მომკუდარიყო. ოსმალები დახო-ცილიყვნენ თვრამეტი ათასამდისინ. ამისა შემდგომად კონსტანტინემ დაათვალიერა გალავნის კედლები და აია-სოფიას ეკკლესიაში წავიდა, სადაცა იმან, პატრიარხმა და დიდმა კაცებმა შესწირეს მადლობა ღმერთსა გამარ-ჯვებისა და შემწეობის მოცემისათჳს მტერზედა. მერმე უბრძანა რამდენსამე ბერმენსა გალავანს გარეთ გასვლა და დაწვა კედლის სანგრევის იარაღებისა და კიბეებისა; დარწმუნებული იყო, რომ სულთანი რაკი ნახამს ბევრს დახოცილს თავის ჯარის კაცსა და იარაღებისა კიბე-ებიენად დაწვასა, მოშორდება სტამბოლსა. იარაღები და

კიბეები დაწვეს ბერძნებმა, მაგრამ სულთანს ფიქრადაც არ მოუვიდა სტამბოლის თავის დანებება, რაკი ნახა მრავალი ჯარი დახოცილი და იარაღები, ასე მალიან გაგულისდა ბერძნებზედა, რომ მაშინვე უბრძანა ახლად გაკეთება იარაღებისა და ჯარის შემოდგომა ქალაქზედა. იცოდა კონსტანტინემა თავისი უღონობა და იმისთჳს გაგზავნა ელჩები ვენეციაში და სხუა სახელმწიფოებში, შეს-თხოვა შველა, მაგრამ, რადგანაც ზოგიერთს მეფესა თითონ ჰქონდა სხვასთან ომი და ზოგს ჯავრი ჰსჭირ-და ბერძნებისა, ამისთჳს უარი შემოუთვალეს. მხოლოდ ღენუა რესპუბლიკის მთავარი ზუსტუნა, იტალიის ქუეყ-ნიდამ, მოეშველა თავისის ჯარითა კონსტანტინესა. ზუსტუნას ჩააბარა კეისარმა დასაფარავად ის ადგილები, სადაცა უჭირდა და მიჰსცა ორი ათასი რჩეული ბერძე-ნიცა. ამისა შემდგომად ბერძნებსა ბრძოლაში ყველგან ჴელი მოემართათ. სადაც კი ზუსტუნა იდგა თავის ჯა-რითა, ოსმალები დამარცხდნენ. დახოცილმა ოსმალებმა ამოავსეს ღრმა თხრილები, რომელნიცა იყვნენ გალა-ვანს ახლო. უეჭველად ბერძნები გარეკდნენ ოსმალებსა სტამბოლიდამა, თუ რომ არ დაღამებულიყო.

მახმედმა უბრძანა გაკეთება მრავლის კედლის სან-გრევის იარაღებისა. როდესაც ამზადებდნენ იარაღებსა, მაშინ მოიტანეს ოსმალებმა რამდენიმე ზარბაზნები, მათში ერია ორი, მალიან დიდი ზარბაზანი. ამბობენ, რომ ერთს ზარბაზანსა ჰქონდა პირი სიგანით ორი არშინი, და მეორესა იმოდენი, რომ კაცი ზუსლა გაი-

მართებოდა, როდესაც დაუწყეს სროლა ზარბაზნისა და ცემა იარაღებისა, მაშინ გალავნის კედლები ჯერ დისქდნენ, და მერმე სრულებით დაიქცნენ, თითქმის ცხრა ადლზე. იმ ერთის დღის ომი ამითი გათავდა. ბერძნებმა, დაქცეულის ქვითკირის კედლების მაგიერად, იმავე ღამეს გააკეთეს ხის კედლები და გარეშემო შემოაყარეს მიწა. მეორეს დღესა ოსმალებს ბრძოლაში ჴელი არ მოემართათ. თუმცა დიდს ზარბაზნებს ისროდნენ, მაგრამ სრულებით ბერძნებს ვერა ავნეს რა. მაშინ ოსმალის სარდლების ბრძანებითა გატენეს მალიან დიდი ზარბაზანი და ესროლეს ბერძნებსა, მაგრამ, რადგანაც მაღლა დაუნიშნეს, არა ავნორა გალავანსა; არცკი შეეხო ტყვია გალავნის ქონგურებსა, რომელიცა ჩავარდა შუა ქალაქში, და ზარალი არას მიჰსცა. მეორეთ, რომ მოამზადეს გასასროლად ის ზარბაზანი, იმ დროს ჟუსტუნას ბრძანებითა ბერძნებმა გამოისროლეს ზარბაზნები და სრულებით დაულეწეს ოსმალებსა დიდი ზარბაზანი.

მახმედმა, რომ გაიგო თავისი ჯარის დამარცხება და დიდის ზარბაზნის დამტვრევა ბერძნებისაგან, დაიფიცა, არ მოვშორდები სტამბოლსა, მანამდისინ არ ავიღებო და უბრძანა თავის ჯარსა, რაც შეიძლოთ, მალიან გაისარჯენით და უთუოთ აიღეთ ქალაქი, რომლისათჳსაც დაჰპირდა საჩუქრებსა, ხალათებსა და დიდს ადგილებსა ხარისხისასა. ამ სიტყვებით გამხნევებულმა ოსმალის ჯარის კაცებმა მიიდგეს კედლებზედ კიბეები, ავიდნენ და თამამად ხოცვა დაუწყეს კედლებზედ და გა-

ლავნის ქონგურებზედ მდგომთა ბერძენთა. მორიდამ თურქებმა დაუწყეს სროლა ისრებისა და ზარბაზნებისა, დიდ-მალი. დიდხანს გაგრძელდა ეს ფიცხელი ომი. კონსტანტინე კეისარი და ზუსტუნა ამხნევებდნენ ბერძნის ჯარსა. ბოლოს დროს კეისარმა ნახა, რომ უთუოთ აჯობებდნენ ოსმალები, დაარეკინა ზარები და შეკრიბა ყოველნი მოქალაქენი დასაცველად სატახტო ქალაქისა. მაშინ ვაჟკაცობა და შეუპოვრობა ბერძნებისა გასაოცელი იყო; დახოცეს ფრიად მრავალნი ოსმალები, იმ დროს უსწრო ღამემ და ბრძოლა დაიმალა. გაარჩიეს მკჳდრები და ნახეს, რომ ბერძენი დახოცილიყო ხუთი ათას შვიდასი კაცი, და თათრები დაეხოცნათ ოც და თხუთმეტი ათასი მეტი კაცი. მაშინვე კეისარი, პატრიარხი და დიდი კაცები შეიყარნენ აიასოფიას საყდარში და შესწირეს მადლობა უფალსა ღმერთსა შეწევნისათჳს მტერზედა. ბრძოლაში დახოცილნი ჯარის კაცნი კეისარმა დაამარხვინა დიდის პატივით. მახმედმა თავისი მკჳდრები არ დაამარხვინა; შეაკრეფვინა ერთად და დააწვეინა სრულებით, ამას გარდა რომელნიც ვერ დაწვეს, იმათი მძოვრი გადააყრევინა შიგ ქალაქში, რომ სუნით აეროლდეს სტამბოლი და გააჩინოს სნეულება და ჭირი, მაგრამ მახმედმა ეს სურვილი ვერ აისრულა, ამისთჳს რომ კეისარმა მაშინვე გადმოაყრევინა ისინი გალავანს გარეთ, თათრების ბანაკში—სადგომში. განრისხებულმა დამარცხებითა, მახმედმა უბრძანა თავის ჯარსა რვას დღეს მოუშორებელად ეომნით ბერძებსა. ამას გარდა უბრძანა

დამტვრეულის დიდის ზარბაზნის დაკვრება, რომელიცა ზუსტუნამ გაუტეხა. ეტყობოდა, რომ მახმედი, იქამდისინ არ გაბრუნდებოდა, მანამ არ აიღებდა სტამბოლსა. ზუსტუნამ, როგორც აზრიანმა და გაგებულმა კაცმა, გაიგო ეს განზრახვა მახმედისა და ამისთჳს ურჩევდა კეისარსა კონსტანტინესა მოშორდეს სტამბოლსა და აქით მოარჩინოს თავისი თავი და ცოლშვილი უეჭველის სიკუდილისაგან, კონსტანტინემ უპასუხა, რომ წასვლა სტამბოლიდამ იქნება უნამუსო გაქცევა და ამისთჳს არ დაუთანხმდა ზუსტუნასა. ამასობაში ომი გაგრძელდა და ბერძნებმა ჩუმად გააკეთეს ნაღმები, მიმავალი ღრმა თხრილებიდამ, გალავანს ახლო; ოც და ხუთს დღეს იომეს ბერძნებმა და თათრებმა, მაგრამ სამაგალითო არა უქმნიათრა. ოც და მეექვსე დღესა თათრებმა ძალიან გატენეს დიდი ზარბაზანი და გალავანს ესროლეს; წამალი მეტი მოსვლოდათ და ამის გამო ზარბაზანი სულ ლუკმა ლუკმა დაემტვრათ. საშინლად ჯავრობდა ამაზედ მახმედი, გამწყრალმა უბრძანა ამოვსება ღრმა თხრილებისა მიწით და გალავანს გარშემო ნაღმების გათხრა. როდესაც თათრის ჯარის დასტა ამ ბრძანების ასასრულებლად მივიდა იარაღებითა გალავანთან, იმ დროს ბერძნები შევიდნენ მიწაში შეთხრილს ნაღმებში და მოუკიდეს ცეცხლი თოფის წამალსა და სხვა ასანთებს ნივთებსა. ვინ არ იცის ესე, რომ ცეცხლის ალი აიტაცებდა ჰაერში თათრებსა და მთლად იარაღებსა; იმავე დროს, იმ ცეცხლის გადარჩენილნი თათრები სრულებით

განწყვიტეს ბერძნებმა სასროლის იარაღებითა, მდუღარე წყლითა და ანთებულის ნავთით და გოგირდითა, რომელიცა ბერძნებმა გადმოაყარეს იმათ გალავნიდამა. ამ ამბავსა სულთანი მახმედი თავის თვალით უყურებდა; არ იცოდა რა უნდა ექნა. დიდის ჯავრითა შეწუხებულმა, მახმედმა უბრძანა თავის ჯარსა უკან გამობრუნება; მაშინ ბერძნებმა კიჟინა დასცეს და მხიარულის პირითა გადაიხადეს გამარჯვების დღეობა.

შემდგომად დამარცხებისა, მახმედს უნდოდა დაბრუნება ოსმალში,—თავის ქუეყანაში და სტამბოლის თავის დანებება, მაგრამ თითონ კონსტანტინე კეისარი იყო მიზეზი მახმედის სტამბოლში დადგომისა საბრძოლელად. პატრიარხისა და დიდის კაცების რჩევითა, კონსტანტინემ გაუგზავნა მოციქული მახმედსა შერიგებაზედ მოლაპარაკებისათჳს, რადგანაც ძალიან დაუმარცხდა ჯარი სტამბოლში და ეგონა კიდეცა, რომ მეზობელნი მეფეები მოეშველებიან ბერძნებსა, მახმედი აპირებდა სტამბოლიდამ გაბრუნებასა; ეშინოდა, რომ სულ მთლად ჯარი არ გაწყვიტონ ბერძნებმა. მაგრამ მახმედმა, რომ ნახა ელჩი ბერძნებისა, რომელიცა ჰსთხოვდა შერიგებასა, მიხვდა ჭაზრითა, რომ ბერძნები ძალიან გაჭირებულნი არიან. ამისთჳს იმან უპასუხა ბერძნების მოციქულსა, მაშინ შევურიგდები კონსტანტინესა, როდესაც დამემორჩილება და მეემობა. კეისარმა რომ მოისმინა ეს პასუხი, ძალიან შეწუხდა და შეინანა თხოვნა შერიგებისა; ევედრებოდა ღმერთსა შეწევნასა მტერზედა.

მახმედი იქვე, სტამბოლში, იდგა გალავანს ახლო; ბრძოლა იწყეს და ბერძნები გულადად უხვდებოდნენ თათრებსა, რომლებიცა იმ დროს ისროდნენ ახლად დაჭერეტულს, დიდს ზარბაზანსა. მაისის ექვსსა მახმედმა მოიყვანა მთლად თავისი ლაშქარი სტამბოლის გალავანზედ, და თითქმის ფიქრობდა სტამბოლის აღებასა, მაგრამ ვერ მოუხდა აღება. თათრებმა ორჯელ ესროლეს დიდი ზარბაზანი და დაანგრიეს გალავანი საკმაოდ და ცდილობდნენ გამონგრეულის ადგილებში შესვლასა შიჯნით, მაგრამ ბერძნებმა არ შეუშვეს. იმ ღამეს დაქცეულის კედლის მაგიერად, ბერძნებმა ააშენეს მალითა დიდი ბურჯი. მეორეს დღეს თათრებმა დიდის ზარბაზნითა, რამდენსამე ადგილებში, დააქციეს გალავნის კედელი და ნაქცევებში შეცვივდნენ რამდენიმე ათასი თურქი, მაშინ მოუხდათ საზარელი ბრძოლა და ჩესა ბერძნებსა და თურქებსა. ნემენცის მთავარი ზუსტუნა მიეგება თათრებს წინა ჯარითა, წინ მიუსტოდა თავისებსა, და ისრე მალიანა ომობდა და ხოცდა თათრებსა, რომ ზვინი და ზვინი დააყენა. იმ დროს დაინახა ესე იანგიჩრების უფროსმა ამურადმა, მალიან ღონიერმა, მაღალმა, ზორბამ და შეუპოვარმა კაცმა, მიუხდა ხმლითა ზუსტუნასა და ასეთი შემოჰკრა, რომ ზუსტუნა მიწაზედ გაართხო. გათამამებულსა ამურადსა უნდოდა მოეკლა გამოჩენილი გმირი სტამბოლისა ზუსტუნა, მაგრამ ერთი ბერძნის ჯარის კაცი ეძგერა ამურადსა და ასეთი შემოჰკრა ხმალი, რომ ორივე ფეხები დააყრევინა. რა

ნახეს, თითქმის დამარცხება თავისი მხედრობისა, თათრების დიდი სპასპეტი ფლაბორარ მუსტაფა და ამარბეგ ფაშა, საჩქაროდ მოეშველნენ თურქის ჯარსა თავისის დასტებითა, მაშინ გამარჯვება გადავიდა თათრების მხარეზედა, და თუ ბერძნის ჯარსა, იმ დროს, არ მოშველებოდა სტრატიკი (მთავარმართებელი ჯარისა) რაკკაბი თავისის მხედრობითა, თურქები უთუოდ აიღებდნენ სტამბოლსა. ომში გამოცდილმა რაკკაბმა, მალიან შორს გარეკა გალავნიდამ თათრები და ერთის ღონიერის შემოკვრითა შუაზედ გაჩეხა საცოდავი ამარბეგ ფააშა. თათრები გამწარდნენ თავის სარდლის მოკვლისათჳს, შემოერტყნენ რაკკაბს გარშემო და ნაწილ-ნაწილად აკუწეს; შეუტიეს ბერძნებსა და ისევ სტამბოლში შერეკეს.

ღამის სიბნელემ გაათავა ბრძოლა; იმ ღამეს ბერძნებმა გამოქცეული გალავნის კედლები სულ გამოაშენეს და იმ ადგილებში დასდგეს მრავალი ზარბაზნები. ეს არ იცოდნენ ოსმალებმა და მიჰსცვივდნენ გალავანსა შესასვლელად, ეგონათ ისევ გამოქცეულს ადგილებში შევალთო, იმ დროს ბერძნებმა ერთბაშად მოჰსცეს ზარბაზნები და თან წაალებინეს თურქები რავდენიმე ათასი კაცი. ამ საქმით გათამამებულნი ბერძნები გამოუცვივდნენ გალავნიდამ თათრებსა, მოსდევდნენ ხოცითა და თუ იმათ არ მოშველებოდა თავის დასტითა, მოხერხებული და გულადი ფლაბორარ მუსტაფა, ბერძნები უთუოდ დაამარცხებდნენ თათრის ჯარსა. ამან შეუტია ბერძნებსა და ისევ გალავანს შიგნით შერეკა. იმდროს კონ-

სტანტინე კეისარი აიასოფიას ტამარში იყო და რჩევა ჰქონდა თავის დიდკაცებთან ამაზედ: ჰსჯობს, რომ ერთხელ გაუთაო ომი თურქებსა, ამ სახით, რომ უკანიდამ მოუვლი ჯარით, დავეცემი ზედა და მალას დავატან, რომ სტამბოლიდამ წავიდნენ; მაგრამ უფრო ბევრნი დიდებულნი კაცნი არ დაუთანხმდნენ კეისარსა, ამისთანა ბედზედ შევარდნილს გამბედაობაზე. ამ ლაპარაკში და რჩევაში, რომ იყვნენ, ერთი ბერძნის ჯარის კაცი შევარდა ეკკლესიაში და მოახსენა, ოსმალებმა გალავანი აიღეს და ბერძნებს მალიან ხოცენ. კეისარი გამოიჭრა საყდრიდამ და მოეშველა გაჭირებაში მყოფს ბერძნებსა. ოსმალები შეცვივდნენ სტამბოლში, და გაახშირეს ქუჩებში ხოცვა და ქლეტა და საშინლად შეაწუხეს ბერძნები. ამ სანახავმა კეისარსა თავს ზარი-დასცა თითონ მიიღო სარდლობა და მოთაობა ჯარისა, თავის ვაჟკაცობითა და შეუპოვრობითა, გაამხნევა ბერძნებიცა, შემოუტიეს რაც მალი და ღონე ჰქონდათ, თათრებსა და გალავანს გარეთ ხოცვით გამორეკეს; შეიმწყვდიეს ვიწრო ადგილებში და ქუჩებში და თითქმის თექვსმეტი ათასი მეტი კაცი დასხოცეს. ამ დამარცხებამა უფრო გააჯავრა მახმედი და არ დაამდაბლა. ამისგამო განიზრახა უთუოთ აღება სტამბოლისა და უბრძანა თავის მხედრობასა კიდევ საომრად მომზადება.

თერთმეტს მაისს, ღამე გამოჩნდა სტამბოლში, აიასოფიას ეკკლესიის ასწვრივ გასაოცარი ნიშანი. უცებ გამოჩნდა, შუაღამისას, საშინელი ნათელი, რომელმაცა

ანელი ღამე დღეთ გადააქცია; ეგონებოდა კაცსა მზე ამოვიდაო. ბერძნებმა არ იცოდნენ ამ სინათლის მიზეზი, ეგონათ ოსმალებმა ქალაქს ცეცხლი წაუკიდესო, ამისთჳს დიდძალი ხალხი შეიყარა საყდართან. იმავე დროს ნახეს, რომ ეკკლესიის ზევითი ფანჯრებიდამა გამოდიოდა ცეცხლის ალი, რომელიცა გარეშემო შემოერტყა საყდრის გუმბათსა და დიდხანს ერტყა გარეშემო. მერე ის ნათელი ავიდა მაღლა და გაჰქრა ცაში. ის ნიშანი იცნეს მთლად ბერძნებმა მალიან ცუდს ნიშნად; ეს ამბავი მეორეს დღეს კეისარს მოახსენეს, პატრიარხმა და დიდმა კაცებმა ურჩიეს კონსტანტინესა წასვლა სტამბოლიდამ სადმე თავისის მეუღლითა და თავის მორჩენა სიკჳდილისაგან, რომელსაცა მოელოდნენ ყოველნი მოქალაქნი სტამბოლისანი. კონსტანტინე ვერას გზით ვერ დაიყოლიეს; მე ჩემს ყმებს და სტამბოლის ქალაქს უპატრონოდ თავს ვერ დავანებებ, ეტყოდა კეისარი, სიკჳდილი მირჩევნია იმათთან, უნამუსო გაქცევას კი არ ვიკადრებ. გამოჩენილმა საყდარზედ ნიშანმა, ისრე შეაშინა სტამბოლის ხალხი და დააძაბუნა, რომ ისინი საომარს იარაღს ხელში ვეღარ იმაგრებდნენ. მოწყენილსა და დაღონებულსა ხალხსა, პატრიარხმა არწმუნა, რომ ის ნიშანი ღჳთის მფარველობასა და შეწყალებასა ჰნიშნავსო. ბრძანა და ნიადაგ დიდებაზედ დადიოდნენ გალავანს გარშემო ბერძნები, თჳთ პატრიარხი და ყოველი სამღჳდელო და საბერო კრებული, და თან დაჰქონდათ ცხოველსმყოფელი ჯვარი ქრისტესი.

ოც და ექვსს მაისსა, მაჰმედი დიდად თავგამომეტებული შემოადგა გარშემო სტამბოლის გალავანსა. საშინელი, ურიცხვი ჯარი რომელიცა იმას ჰყვანდა იქა, გაჰყო რამდენსამე დასტებად და ჩააბარა გამორჩეულს კარგს სარდლებსა, რომელნიცა დააყენა თავ თავის ალაგს, ქალაქს გარეშემო და თითონაც იმათთან დაჰსდგა. გალავანზედ მისვლა დაიწყეს ოსმალებმა მრავალის ზარბაზნის სროლითა, რომლითაცა კედლები კინაღამ დააქციეს; მერმე დაიწყეს კიბეებით ასვლა ზედ კედლებზედა და ხოცდნენ იქ მდგომს ბერძნებსა. ასე ძალიან შეაწუხეს ბერძნები, რომ თუ მაშინ კონსტანტინე კეისარი იქ არა ყოფილიყო, უთუოთ გასწყვეტდნენ ოსმალები ბერძნებსა და ააოხრებდნენ ქალაქსა.

მეორეს დღესა ოსმალებმა ესროლეს გალავანსა რამდენიმე სროლა ზარბაზანი და სამჯერ ესროლეს ძალიან დიდი ზარბაზანიცა, რომელმაცა დააქცია სრულებით გალავნის კოშკი. იმ ღამეს ზუსტუნა აშენებინებდა დაქცეულის ბურჯის მაგიერად ახალს კოშკსა, იმ დროს ოსმალებმა დაუნიშნეს იმას ზარბაზანი, რომლისაცა ქარმა წააქცია ზუსტუნა და ვერა ავნორა, მაგრამ ბერძნებმა მაინც ააშენეს კოშკი. ამაზედ მაჰმედი ძალიან გაშფოთდა, და უბრძანა თავის რჩეულს ჯარსა საჩქაროდ დაქცევა იმ კოშკისა. ოსმალები მივიდნენ და მრავალი ბერძენი დახოცეს, მაგრამ ბერძნებმა გამორეკეს ისინი უკანვე, ამ ომში, სტამბოლის გამოჩენილი გმირი ზუსტუნა, ოსმალებმა მოკლეს ზარბაზნის ტყვიითა. რო-

დესაც თათრებმა გაიგეს სულტანის სიკუდილი, დიდის გაბედვით დაერივნენ ბერძნებსა, დაჰკივლეს: „ჩუენია გამარჯვება!" და გალავანს შიგნით შერეკეს ბერძნები; იმ დროს მოესწრო კეისარი და ისე მალიან იბრძოდა, რომ ოსმალები უკან გამოაბრუნა. ბერძნებმა შეიმწყვდიეს თურქები ქალაქის ვიწრო ქუჩებში და იმოდენი დახოცეს, რომ დახოცილები აღარ ეტეოდნენ ადგილზედა. ამ გამარჯვების უკან კეისარი წავიდა აიასოფიას ეკკლესიაში და ღმერთს მადლობა შეჰსწირა შემწეობის მოცემისათჳს მტერზედა; ეგონა, რომ სრულებით დამარცხებული მახმედი უთუოთ გაბრუნდებოდა სტამბოლიდამ და თავის ქუეყანაში წავიდოდა.

შემდგომად თათრების დამარცხებისა, იმ ღამეს მოხდა საკჳრველი რამ გამოჩინება, რომელიცა მოასწავებდა სტამბოლის მალე დაღუპვასა და წახდენასა, ცაში გამოჩნდა შავი ღრუბელი და საშინლათ დაბნელდა; ღრუბლიდამ ცვიოდა დიდრონი, ქათმის კვერცხისოდენა, წითელი ცვარი, მსგავსი სისხლისა. ყველანი მიხვდნენ, რომ ამ გვარი წვიმა უბედურობას ნიშნავდა. ბერძნები მალიან შეშინდნენ და დაფიქრებულები დადიოდნენ სტამბოლში, არ იცოდნენ, რა უნდა ექმნათ. პატრიარხმა კიდევ გაბედა და ურჩია კონსტანტინეს სტამბოლიდამ გასვლა და ამით მორჩენა თავისა სიკუდილისაგან. მაგრამ პატრიარხმა ვერ დაიყოლია კეისარი, რომელმაცა აირჩია სიკუდილი თავის ყმებთანა. როდესაც მახმედმა შეჰყარა თავისი ბრძენი კაცები და ჰკითხა მნიშვნელობა

სტამბოლში გამოჩენილის საოცრის სანახავისა, მაშინ იმათ მოახსენეს, რომ სტამბოლის ქალაქის დაქცევას მოასწავებსო, რომლისათჳსაც მახმედმა უნდა მოიხმაროს ყოველი ძალი, რომ აიღოს და დაიმორჩილოს ქალაქი. მოისმინა რა მახმედმა პასუხი სწავლულის კაცებისა, დიდად მოიმედე გამარჯვებისა, მიუხტა სტამბოლსა ურიცხვის ჯარითა. ოსმალებმა ყოვლის ადგილებიდამ გააქციეს ბერძნები და ქალაქში შევარდნას აპირებდნენ, იმ დროს კონსტანტინე კეისარი მიეშველა თავის ჯარსა. დაინახა რა კეისარი გულადმა და ღონიერმა ოსმალის სარდალმა ფლაბურარ ფაშამ, რომ ომობდა, საჩქაროდ მიუხდა, შემოჰკრა ჴმალი და ცხენიდამ ჩამოაგდო. სისხლში მოსვრილი კონსტანიტნე კეისარი მიუხდა მუსტაფასა მოსაკლავად, მაგრამ ღონე აღარა ჰქონდა. მუსტაფამ ამოაძრო მოკლულის ბერძნის გულიდამა შუბი და დაჰსცა მკერდში კეისარსა. მაგრამ იმპერატორი კონსტანტინე, თუმცა ძალიან მძიმედ დაჭრილი იყო, მაინც არ დაკარგა გულადობა და ღონე, ამოიძრო შუბი დაჭრილის ადგილიდამა და ისეთი ამჴერა ყელში მუსტაფა ფლაბურარსა, რომ მაშინვე სული გააურევინა. ეს რომ გაიგო მახმედმა, მაშინვე მთელი დასტა და ზარბაზნები გაატანა ბალთუალი ფაშასა და უბრძანა: ან უთუოთ მოკალით კონსტანტინე კეისარი, ან ცოცხალი მამგვარეთ, დატყვევებული.

ბალთუალი ფაშა იბრძოდა რიგიანად, შევიდა ქალაქში ძალით და იქ სისხლის რუები ადინა ბერძნებსა,

იმ დროს კეისარი წავიდა ომიდამ თავის სასახლეში, სადაცა მივიდნენ კეისრის კაი ყმანი და ჰსთხოვეს სტამბოლიდამ გასვლა და მოშორება, ამისთჳს რომ მახმედი გეძებს შენ მოსაკლავათა; მაგრამ კეისარი არ დაჰყვა ნებასა, უთხრა, გადით და ქალაქს მიეშველეთო. რამდენსამე საათს უკან კეისარს მოახსენეს, რომ ოსმალებმა თითქმის სტამბოლი აიღესო. მაშინ კონსტანტინე საჩქაროდ წავიდა აიასოფიას ეკკლესიაში; აღსარება ჰსთქუა, ეზიარა წმიდათა საიდუმლოთა, გამოესალმა ცოლსა, სახლობასა, პატრიარხსა და ყოველს კაცსა, ვინცკი იქ იყვნენ, გამოვარდა საყდრიდამ და შევარდა თურქების ჯარში, რიცხვით სამი ათას კაცში, რომელნიცა ემებდნენ კეისარსა მოსაკლავად. კეისარი კონსტანტინე, თუმცა ებრძოდა თურქებსა ვაჟკაცურად და საკელოვნდა, მაგრამ თურქებმა მძიმედ დაჰკოდეს და მოჰკლეს იგი. მაშინ, ფიცხლავ დაიჭირეს ოსმალებმა სტამბოლის ქალაქიცა.

ოსმალებმა დაიწყეს საშინელი აოხრება სტამბოლისა. ეკკლესიები დააქციეს, მღუდლებსა და ბერებსა ათრევდნენ ქალაქში, უპატრონოდ; კეთილშობილთა ცოლები და ქალები გააუპატიურეს და ტანჯვით დახოცეს. ამის გამო არ უნდოდათ ბერძნებსა ცოცხალი დანებებოდნენ თათრებსა, და ამისთჳს ებრძოდნენ იმათ; ყოვლის ღონითა ცდილობდნენ იმათს გაწყვეტასა და მრავალიც დახოცეს. ბერძნები იმალებოდნენ დასამალავს, მაგარს ადგილებში, და იქიდამ ხან და ხან გამოდიოდნენ და ხო-

ცდნენ თურქებსა, ზოგს იარაღითა, ზოგს მაღლიდამ დაგორებულის მელებითა და ზოგს ზეიდან ასხამდნენ მდუღარესა ნავთსა და წყალსა.

სულთან მახმედი მალიან გახარებული იყო, რომ გაიმარჯვა და სტამბოლი დაიმორჩილა, არ ეგონა და არც მოელოდა ბერძნებისაგან ამოდენს წინააღმდეგობა-სა, შემდგომად სტამბოლის აღებისა, ამისთჳს დიდად გაუკვირდა იმათი ურჩობა. ეჭვი ჰქონდა: იქმნება კონ-სტანტინე კეისარი ისევ ცოცხალი იყოს და ის ამხნე-ვებდეს და აომებდეს ბერძნებსა. სტამბოლში აძებნინებდა კეისარსა თავის ერთგულს კაცებსა, მაგრამ იმისი ძებნა ტყუილიდა იყო. ამისა შემდგომად მახმედმა დაიბარა ბერძნების დიდი კაცები და გამოუცხადა იმათ, რომ მა-ლე დამემორჩილენით, თუ არა, სულ ერთიანად გაგ-წყვეტამთ. ბერძნის მთავრები და უფროსნი კაცნი შეიყა-რნენ სტამბოლში და ურჩიეს თავის მერჯულეებსა და მოქალაქეებსა დამონება სულთანისა და იმასთან მტერ-ობისა გათავება, რომლისათჳსცა მიიღებენ მახმედისაგან საჩუქრად სიცოცხლესა. ილაჯ გაწყვეტილმა ბერძნებმა სიხარულით მოისმინეს რჩევა თავის წინამძღვრებისა და დაემორჩილნენ სულთანსა (ხონთქარსა ანუ კელმწიფესა).

მერმე ხონთქარი მოემზადა სტამბოლში შესასვლე-ლად, დიდის დიდებითა და ამბავითა. პატრიარხი, ყო-ველნი დიდი კაცნი საბერძნეთისანი და სტამბოლის მო-ქალაქები იდგნენ აიასოფიას ეკკლესიასთან და მიელო-დნენ სულთანსა. მახმედი მივიდა ცხენ და ცხენ ბერძნე-

ბთან ახლო, აპატივა იმათ დანაშაული მტრობისა და გამოუცხადა თავისი წყალობა და შერიგება იმათთან. ჩამოხტა ცხენიდამ, შევიდა ეკკლესიაში, დაათვარიელა შიგნიდამ და იქიდამ გამოსული, მივიდა და ნახა მეფის პალატი (სასახლე); ეგონა, რომ იქ უთუოთ ნახამდა კონსტანტინე კეისრის ცოლ-შვილსა, რომელიცა კეისარმა ადრევე გაისტუმრა იტალიაში, ხომალდებითა, ზუსტუნას ნათესავებთან.

ამნაირად დაიმორჩილა მახმედ მეორემა, თურქების სულთანმა, დიდებული და ჩინებული აღმოსავლეთის ქალაქი სტამბოლი, და იმასთან მრთელი საბერძნეთის საკელმწიფო, აიღო რა ტრაპიზონიცა, წელსა (1461) ათას ოთხას სამოც და ერთსა და დააქცია სამირკვლიანად აღმოსავლეთის იმპერია ბერძნისა, რომელსაცა თავიანთს ენაზედ დაარქვეს თურქეთი (ტურცია) ანუ ოსმალო,—ოსმალის საკემწიფო. უფალმა ღმერთმა, მართალმა და სულგრძელმა, დიდხანს უთმინა ბერძნებსა, ბოლოს დროს კი ასრე დასაჯა ამპარტავანებისა და უსჯულოებისათჳს მათისა. ესე მოთხრობა, დაბალს ენაზედ, ადვილ გასაგონად, შევადგინე საბერძნეთისა და საზოგადო ისტორიებიდამა, გასამდიდრებელად ქართჳ̂ლების ბიბლიოტეკისა (წიგნთ საცავისა).

ალექსანდრე გარსევანოვი.

ნ. ალბომში.

ალბომო ვინცა შენა გმფლობს ნატრიან სხვაც მას
მფლობდეს,
როს შვენიერმა ქალთ გიპყრას სთხოვე მეც მომიგონე-
ბდეს,
მას ტურფას ესრეთ უჭვრეტენ ვით წალკოტს აღყვავე-
ბულსა,
შიგან მდგომს ვარდსა სუმბულით ზამბახთან შეერთებუ-
ლსა,
მის გარემემო მფრინველნი სხუა და სხუა შემოკრბებიან,
იადონი და ბულბული ერთმანეთს ეცილებიან,
ესრეთსა შვენიერებას და საოცარსა ქმნულებას,
ვინ არა ეტრფის არ ჰპოვებს მის შორის მრავალს
სრულებას;
მეცა ამისთჳს მოვსულვარ შენზედ მის ქება დავსწერო,
ბედნიერების ჩანგზედან ეს ჩემი გრძნობა დავმღერო,
მაგრამ მეც ამა შრომისთჳს მსურს ვიყო მისგან ხსო-
ვილი,
ვინც ჩემგან წერა ისურვა და ვისგანც იყო თხოვილი.

ეს სისპეტაკე ფურცელთა გიგავს თჳთ შენსა მფლობელსა,
ლაჟვარდ მოსილი ვინ კრთოლვით აკვირვებს თჳსსა მცნობელსა,
ეს მსგავსებს მაშინ ვენერას, ქუჴენად ზეციდამ მოსულსა,
ნარნარს, შვენიერს, უმანკოს ციურსა წმინდასა სულსა.

კნ. ეკატ. ერისთავისა.

ანეკდოტი.

ქალაქი ტური, დიდსანს იმყოფებოდა უთნებსა მსჯავრსა ქუჱშე რომლისამე სჳნარისა, ხემსკის ჰროკურორისასა, რომელიც იყო კაცი უკანონო, ქცევაუყოფელი, შობითგან სიბიწეთა შინა შთაფლული, ყოველთა უწყებათა შინა მოუდრეკელი, მძრახავი და საშიშარი. კაცი ესე შობილი ბუშარის კუნძულსა შინა, იყო მუნიდგან განდევნილ მცხოვრებთა მიერ, რომელნიცა მრთლად კმა-უყოფელ-იყვნენ მისგან. მეხომალდეთა ამა ქალაქისათა, შეიწრებულთა მის შემჭირვებათა მიერ განკეთილ-საჯეს ოდესმე დახსნად მისგან მოქალაქენი თჳსნი, და მიმართეს იგი სიღრმესა შინა ზღვისასა შთანთქმად ყოველთა გარდამავალობათა და ბოროტ-მოქმედებათათჳს მისაზღვეველად; არამედ ამან შეურაცხმან თესლმან განდევნა თჳსგან წარწყმდა ესე ცურვათა, და დაეშენა ქალაქსა ტურსა შინა დასაბამსა 1792 წელსა: იგი მას შინა რომელსამე დროსა აღსრულებდა თანამდებობასა სტრიაფჩობისასა. ურცხვმან სვინიდისმან მისმან მოიპოვა თჳსდა საზოგადო შურისგება, ხოლო შე-

მოხვევამან განსჯოქილებისამან, მსწრაფლ მოუვლინა მას მიზეზი გამოჩენად თავისა თჳსისა; დასასრული, განრყვნილთა ღონისძიებათა მიერ მიასწია მან თემის მთავრობისა წოდებასა.

მაშინ ჰგრძნეს მცხოვრებთა ტურისათა ყოველი დატვირთულება მმკაცრისა მის შემჭირვებისა, და ყოველნი ემორჩილებოდიან რკინისა მის უღელსა. დუმილმან პატრიოსანთა კაცთა მან განამხნევა უჰსჯულოებაჲ, ანუ უმჯობეს არს თქმად, აწარმოვა თრთოლაჲ. არა დიდმან გუნდმან უკეთურთაგანმან, დასვენებასა ქუეშე წითლისა ქუდისასა, სენარისა თჳსდა წინამძღვრად მქონებელმან, მსწრაფლად წარტყუევნა ყოველი მფლობელობა სასამართლოთა. სახესა ქუეშე თავისუფლობისასა, ამა უსჯულოთა უმართლედ მიითჳსეს ნება საკუდავად თჳსთა მსგავსთა; მიზეზსა ქუეშე სიყუარულისასა მამულისასა მამულისადმი, ჰსძარცვიდნენ დაუსჯელად მამამულეთა თჳსთა, და ჰსჯამან მათმან, სისხლითა განჰჯერუვნა ყოველთა გონებანი, მოწიწება და შიში მათდამი შეერთდა დაუყოვნებლად. მამა თითქმის შვილზე ეჯობდა, და ძმა ღვიძლსა დასა თჳსსა ზედა. თანა შემწეობითა შერყეულთა ლაპარაკთათა, სათნოებანი, თავისუფლობანი და მოქალაქობანი, არა დიდთა რიცხვთა მეშვოთართა მოდრიკეს სიმხრდლესა შინა ათასეულთა კაცთანი, რომელთა ერთობრივსა ნებასა, მალ-ედვამცა წარწყმენდა მათ ყოველთა.

ესე ვითარი იყო მდებარეობა ტურიის სამოქალა-

ქოთა; რადგანც შინაურთა საქმეთა გამო იძულებულ-ვიყავ წასვლად ამა ქალაქსა შინა; რომლისამე დრო-დგან ვცხოვრებდი მე ჩამონახდომევსა ადგილსა თჳსსა არა უშორეს მისგან, სადაცა ვჰსტკბებოდი სრულიადითა კეთილ-დღეობითა უსაყუარელესის მეუღლითურთ;—ეს-რედ ენება განსჯასა გამორჩევა ჩემი, რომ დამალესოს ჩემზედა მახვილი თჳსი, და ძლივღა თითქმის განვლო თვემან ექვსმან შემდეგ ჩემის ქორწინებისა, რომელ უ-ბედურმან ბედმან ჩემმან მომსპო მშვიდობიანნი დღენი ცხოვრებისა ჩემისანი.

არა მხედველსა საჭიროებისასა ცხოვრებად სან-გრძლივ ტურსა შინა, არა მწადოდა მე ქირით შოვნა სახლისა, და დავდექ დიდს უბანსა შინა ტრახტირში, არა მფიქრებელი, რომელ წოდება უცხო-მკრობისა, მე-ქმნება მიზეზ ჩემის წარწყმენდისა. მრთლათ ჩემი ამალა მდგომარეობდა ერთს ჩემდა ფრიად ერთგულს მოსამსა-ხურესა შინა, რომელიცა გაიზარდა სახლსა შინა მამი-ჩემისასა; აღზრდა მისი იყო სასიამოვნო, და პირადნი ბუნებანი, და ჩემდა ქვეშე-ვრდომილება, ჰყოფდენ მას ჩე-მთჳს უფასოდ,—და მე სიყრმითგან მას ვექცეოდი უმე-ტეს ვითარცა მეგობარსა, ვიდრეღა მოსამსახურესა. კე-თილი კაცი ესე დილასა ერთსა შემოვიდა ჩემს ოთა-ხში, გამაღვიძა მე მჩვენებელმა ძლიერს გულის-მგერი-დამ, რომლისამე—ამასწინათ ხალხში ჩემზე ლაპარა-კისაგამო. „ჴელმწიფეო ჩემო! მრქვა მან სახითა მოში-„შოთი, რომლისაცა ვერ ძალ-ედვა დაფარვად, გემცნო-

„ბით თქჳენ, რათამცა მესილვა ცხოვრება თქჳენი, აქა-
„ურობისა მოშორებით; თქჳენ უწყით, რომელ ბორო-
„ტთა კაცთაგან, კეთილისა მოლოდებად არა სათანადო-
„არს; და მე რაოდენიმე ხანია ვარ ფრიად მოუსვენებ-
„ლობასა შინა. თჳთ ამა მინუტსა ზემსკის პროკურორი
„წინამძღოლი გუნდთა უკეთურთა, თანა-მოზიარეთა მას
„ბოროტ-მოქმედებათა შინა, ჭვალს უბნებად, და ჭკრებს
„საპყრობილეთა ქვეშე ყოველთა, მათ, ვისაც მხოლოდ
„აქჳს სახე პატიოსანისა კაცისა. იგი იქმს უმეტესსა
„თანა-მეოლად მექონი თჳსთანათა ამხანაგებისა დასა-
„მსობელად განსვენებისა მშვიდთა მოქალაქეთასა. სახე-
„სა ქვეშე შინაურის მიწერ-მოწერილობისა შედის სა-
„ხლებსა შინა, და ესე უმსგავსი კაცი საკუთრითა თჳ-
„სითა ნება-მეოფელობითა და მფლობელობითა, უბრძა-
„ნებს განურჩევლად, წასხმად საპყრობილესა ქვეშე, ნა-
„თესავთა, მეგობართა, მტერთა თჳსთა, მოსამსახურეთა
„ტაძრისათა, აზნაურთა, მდიდართა, უცხო მხრელთა;
„ერთის სიტყვით, მათ ყოველთა, რომელნიცა სისხლ-
„მწყურვალებითა ანუ შურის-გებითა მისითა დანიშნულ-
„არიან, და რომელნიცა ყოველნი განუსჯელად მიყვა-
„ნილ არიან მსხვერპლ-სამწირველოდ მისის სისხლ-
„მწყურვალეობისა. ესე ჯერეთ არა ყოველია, განაგრძე-
„ლა ანტონიმ, ესე განცოფილებანი არიან თჳთ უმცი-
„რესი ნაწილი მისის ბოროტ- მოქმედებისა. კაცის
„მჭამელი ესე განჭხურვებული სისხლითა და მტაცებლო-
„ბათა მიერ, თავმხედობს დადებად კარავეთა, მათ ზედა,

„რომელნიცა ილტვიან მისის ცოფიანობისაგან, იგი
„იმღობს მწუხრვალეობასა, ცრემლითა მიერ უბედურთა
„დედათასა, რომელთაცა ქმარ, მამა, ძენი წარუგზავნია
„მის უსჯულოებასა წარწყმედად; ყოველნი მცხოვრებნი
„ამა ქალაქისანი მოდრეკილ-არიან უთნებასა უღელსა
„ქვეშე მისსა; არცა ერთი ვერ შემძლებელობს კაცობისა
„გამოჩენას, შეზღუდვად მისის ბოროტისა: მომისმინეთ,
„მე, განვშორდეთ მსწრაფლ აქედგან; სახლი ესე უეჭვე-
„ლად ვერ განელტვის მისსა დევნულებასა,—იგი ცნო-
„ბილ-არს მოსულთა უცხო მკრეელთათჳს, და თქჳენ
„აქა უშიშრად ყოფად ვერ ძალგიძს. დაბრუნდით თქჳე-
„ნს მეუღლესთან, უცნობელობით მოიპოვებთ თქჳენ
„დაფარვასა მჭიდროებათაგან; კიდეთა შინა მეგობრობა-
„თათა შესაძლებელ-არს მოგება საჭურველსა ჰირის-ჰი-
„რს უმკაცრობისა.“

მე დაუმადლე მონასა ჩემსა მისის რჩევისათჳს; არამედ განუხილავად არ მოვიწადინე მის მიერ სარგებლობა; მოუწერდი მას განუზომელსა ერთგულებასა მისსა, რომელიცა უეჭველად განადიდებდა შიშსა თვალთა შორის მისთა.—დამშვიდდი, საყუარელო ჩემო ანტონი! უპასუხე მე სვინიდისი ჩემი უბიწო არს, და მოულოდინებელ შიშისა.

ანტონიმ დამიტევა მე თავის გაქნევითა, ვითამც მოცემად ჩემდა გრძნობისა, რომელ არა ყოვლითურთ იყო ჩემის აზრისა. იგი უსარგებლოდ მაიძულებდა მე დატევებად საშიშარისა მის ადგილისა, სადაცა ჩჳენ

ვიმყოფებოდით; ამაოდ მამხილებდა იგი საგრძნობელსა წინასწარისა უბედურებისასა; მე ურღვევდი მას ჩემითა უბრალოებითა, ꝺ ვეწინააღმდეგებოდი კეთილსა რჩევასა სარწმუნოს მოსამსახურისა ჩემისასა;— ꝺ გამყოლი მისი, რაოდენთა განვევლტოდი სიმწარეთა ꝺ უბედურებათა!

მართლად, მეორესავეს დღესა ამა უწყებისასა, რაოდენიმე შეჭურვილნი კაცნი შემოვიდნენ ჩემს ოთახსა შინა, ꝺ დამატუსაღეს მე საკელითა ჴსჯულისათა;— სარწმუნოებისა დამარღვეველმან სჯნარმან,. წინამსრბოლმან უკეთურებათამან, გამომიცხადა მე, რომელ მე განკილულ-ვარ საეჭველად ꝺ ვიტუსაღები გასაფრთხილებელად. მასვე ჟამს შეუდგა გამოძიებასა, ꝺ დამიბეჭდა ყოველი ჩემი ქაღალდები, გადამრჩეველმა ცალკედ ყოველთა მათ, რომელთაცა კი ჰპოებდა ჩემს ბრალ-შესაწამებელად. ამას დღესა შინა, შინაურს დავთარსა შინა ჩემსა მაქუნდა მე წერილი ჩემის მეუღლის ნათესავისაგან, სენტ-დომინღის კუნძულიდგან, რომელსა შინა მაუწყებდა მე იგი ყოველსა უბედურებასა, შემთხვეულსა მას მხარესა შინა; ექმნა განვრცელებული აღწერა ყოველთა ვარდანასედთა, რომელნიცა მუნ ერთი მეორის შემდგომ მომხდარიყო; უმეტეს ყოვლისა ჩიოდა უზომოებასა დაქცევასა ზედა ნაჰოქმედებსა მდაბალთა ხალხთა მიერ. ერთი მხოლოდ წიგნი ესე კმასაყოფელ-იყო მაშინ, რომე ბრალეულ-ვეყავ მე მეხანათად მმართებლობისა. მაქუნდა მე იავუნდისა ბეჭედი გამოკვეთილის მას ზედა ქალის სახისა, მაშინვე ცრუ-მწვალებელმან

სენარ განგებით, ვითამც დაჭსასა მასზე მიმსგავსება კოროლის მეუღლისა, წარმტაცა თჳსდა ბეჭედი იგი, და მე შეპყრობილ-მქმნა საქალაქოსა ხაროსა შინა.

კეთილ-სულოვანი ანტონ, იყო თანადამსწრე ამა გარდასვლომილებასა და პირველიდგან ძლიერ შეიკავა თავი, ხოლო სიცრუისაგამო ამა ბეჭდის დაწამებისა, გამოაცხადა ყოველი თჳსი სიანჩხლე, და არა მქონებელმა ძალისამ წინააღმდგომად მოქმედებათა მისთა, რქვა მას: ,,უფალო სუდიავ! ვეჭობ თქუჱნდა არ იყოს ტვირთ ,,მძიმე, აღწერად ყოველთა ქონებათა; ვინადგან დამფუ-,,ძნელობით ჭმართავთ თანამდებობასა თქვენსა, და უმე-,,ტეს მით, რომე არა იზიანებთ თავსა და მოიღებთ ,,წინათვე შრომისათჳს ჯილდოთა; მე ვსასოებ კიდეც ,,რომ კმაყოფილებით მოიწადინებდითმცა ხშირად შე-,,ხვედრასა მსგავსთა არისტოკრატთათა. ვითარ! — კვალად ,,ჰრქუა მას ,,თქუჱნ უწოდებ უცხო მსრისად მშვიდო-,,ბიანსა მოქალაქესა, რომელიცა შობილ-არს შინაგან ,,ბჭეთა თქუჱნის ქალაქისათა, და რომელიცა განსჯას ,,გარდაუსახლებია სხჳასა მკარესა შინა! თქუჱნ ჰგონე-,,ბთ იყოს იგი მოღალატე, მისთჳს, რომე იგი არა ,,თანა-მოზიარობს თქუჱნსა შეერილობასა; ანუ მის-,,თჳს, რომელ აზრი მისი თქუჱნ არა უწყით! სადა-,,არს ყოფა ამა სისწორისა, რომელსაცა თქუჱნ აწ ,,გამოვიქებთ ჩუჱნ? სადა-არს წესი მის ძმობის მეგო-,,ბრობისა, რომლისაცა თქუჱნ თითქმის საკელსაცა აუ-,,წმინდურებთ? არა თქუჱნ ხართ პირველნი მისნი და-

„მარღვეველნი? არა თქუჱნ დაადგინეთა განყოფილება „კაცთა შორის, რომელნიცა გულითა წმიდითა ეყრდნო-„ბოდენ მამულსა თჳსსა, და რომელნიცა წაბილწეთ თქ-„უჱნ თჳთ მნებებლობითითა მოქენეობითა? არა თქუჱნ „მხოლოდ თანამდებ-ხართა ბრალეულ-ყოფისა, აღურა-„ცხელთა უბედურებათათჳს, რომელსა ქუჱშე დიდი ხა-„ნია უბედური მხარე ესე ირყევის? თქუჱნ უსნობთ უ-„კეთურობისათჳს! ვინ უმეტეს ბრალეულ-არს? განა იგი, „რომელიცა იცავს თჳს შორის მარადის სიმართლესა, „ანუ თუ რომელიცა სიცოფითა თჳსითა წარსტყუენის „უბრალოთა ცხოვრებასა და მოაშრეტს სინათლესა გან-„სვენებულობისასა? თჳთ შენ უსმარო, თჳთ შენ შეურა-„ცხო მატლო! რომლისაცა შეერთებულნი ბაგენი „მარად-დღის განაწბილებენ სათნოებასა და კაცთ მოყვა-„რეობასა! რაოდენნი მსხვერპლნი სისხლ-მწყურვალო-„ბასა შენსა მიუვლენია უფსკრულსა? მხოლოდ აქაურსა „ერთსა საზოგადოებასა შინა, რაოდენნი პატივ-ცემულნი „სახლნი დამხობილ-არიან შენ მიერ და მოშრეტილ „მთავართა ანუ მფარველთა თჳსთა?—რაოდენნი მშვი-„დნი მოქალაქენი სიმხეცესა შენსა განუმგზავრებია სა-„სჯელად? ერთის სიტყვით, რაოდენნი უბრალონი, და-„უცხრომელსა ბრაზიანობასა შენსა განუსჯია წარწყმე-„დად? მარქვი! მიპასუხე!“

ანტონიმ წარმოსთქუა სიტყუანი ესე, ესეთითა სი-ცხარითა, რომელ სისხლ-მსმელი სენარ თჳთ მოვიდა დაფიქრებასა შინა გამოხატვად სათანადო არს, რომელ

მას არ მიუტევებდა ჯავრის ამოუყრელად. მართლად, ლაპარაკმა მოსამსახურისა ჩემისამ, შესვა თჳთვე საპყრობილედ; და ჩუჱნ ორნივე გასტუმრებულ-ვიქმენით სხვა და სხვა საყარაულოში.

დღესა მასვე შინა ჩემის შეპყრობისასა, მივწერე მე მეუღლესა ჩემსა, რათამცა მეუწყებინა იგი ჩემის უბედურებისათჳს, და ვქმენ ეს ყოვლის შესაძლებელის გაფრთხილებითა, რათა არა შემეშინებინა იგი. განუზომელი გრძნობა მისი საცნაურ-იყო ჩემთჳს, ხოლო სიყუარული ჩემდამო უეჭველად იქმნებოდამცა შერყეულ. სხვებრ მდგომარეობა რომელსაცა შინა იყო ისი, თხოულობდა სიფრთხილესა.—ადელაიდა ატარებდა მუცელსა შინა თჳსსა ნაყოფსა სიყუარულისა ჩუჱნისასა, იყო ორსულ ექუსის თვისა, ხოლო შიშსა რომელიცა მე გამომეხატებოდა, იქნება ეწარმოებინაცა ვითარიმე უბედური შემთხვევა; მაინც კი მიწერასა ჩემსა იქნება იგი დაეცა წარწყმედად. არა მრჩეველი არა ვისთანა, არამედ შემდგომი მხოლოდ ნაზისა სიყუარულისა ჩემდამო თჳსისა, შეუშინებელი ესე მეუღლე გამომგზავრდა ტურასა შინა, და ესრედ ემსწრაფლა, რომელ მოვიდა ქალაქსა მას, თჳთ მასვე ღამესა შინა. მაშინვე მიუხდა სენარს; არამედ უთხრეს მას, რომელ იგი არარის შინ, და რომელ იგი ვახშმობს თჳსს მეგობრისასა; არა დამკარგველმა ხანისამ, წავიდა რა მუნ იკითხა ზემსკის პროკურორი იგი.—იგი ზის სუფრაზე, უპასუხა მოსამსახურემან მას, და სარწმუნოთ იყავ რომ შენთჳს თავს არ შეიწყენს, და არ გაუშვებს პურის ჭამასა.

ადელაიდა აიძულებდა ვედრებითა, სთხოვდა მისუ-ტსა ნახვასა მისსა. ვითარ გამოშტერებულხარ! უმრახ-და მოსამსახურე,—მხეცსა ამას არ ესმოდა, ვითარი ცეცხლი სწვამდა შინაგანსა მისსა. გარნა, საცნო რა სიმშვენიერე და სიახალგაზდე ქალისა, განიზრახა, მი-უცილებელად მოილაპარაკებს სენარი. ბოროტ-ხარის-ხთადმი შეთანაერთებული ბილწი ანგ:რებისა, აღსდგა სუფრითგან და მოვიდა ქალთან, სასემან მისმან შეიპ-ყრო სიბილწე გულისა მისისა, და შთაისახლა თჳს შო-რის მხეცური განზრახვა. ადელაიდა, არა მფიქრებელმა ამისამ, რომ სიმშვენიერე თჳსი ეყვის მას დამნაშავედ ჩემს დამცრობისა, ეცადა რათა დაამშვიდოს მისი ყო-ველი ჯავრიანობა. იგი ეჩვენა უმშვენიერესად თვალთა მას ფინთისა და მერალისა კაცისათა; რომელსაცა ჴს-თხოვა ბოროტმან მან წასვლა და მოცდა მას თავის სახლში.

ნაზმან მზრუნველობამან მეუღლისა ჩემისამან, და მოხმარებულმან, ერთგულებამან, რათა მომანიჭოს მე განთავისუფლება, მოაკლეს მას მკედველობაჲ საშიშრო-ებისა; სხვებრ, სული მისი იყო ესოდენ კეთილშობი-ლი, რომელ ვერ მალ-ედვალა წინასწარ ეფიქრა გაუ-პატიურებაჲ. ამისათჳს ერთის თან განმყოლის მოახ-ლით იქმნა მიყვანილ დანიშნულს მის სახლში, რო-მელსაცა ჴსახავდა დამხსნელად თჳსის ქმრისად. სენა-რმა მიიღო იგი პატივითა და კეთილის გულის ჩვენე-ბითა, პირველიდგან იყო იგი მოტყუებულ; არამედ კა-

ცსა უკანონოსა არა ეხანგრძელების დაბრმაებად.—ბოროტმან სენარ არცა თუ აღირსა მოხმარება პირ-თნეობისა, და განუცხადა მას აშკარად, რომელ თავის უფლება ჩემი უნდა მიზღვეულ ექმნას ფასითა ჩემს გაუპატიურებისათა. პირუტყო! დაუყვირა ქალმან, გამოცლით გაანჩხლებულმა; მალვიმსა შენ ეგოდენ ბოროტად სარგებლობაჲ მდებარეობითა შეწუხებულის დედაკაცისათა! უწყოდე, რომელ სიცოცხლე ქრმისა ჩემისა ესოდენ უძვირფასეს არა მჩანს, ვითარცა პატივი ჩემი. უწყოდე ბოროტო! რომელ მე განვისაზღვრავ სიკჳდილსა, ვიდრეღა გაწბილებასა...... მე ვიპოვნი უგრძნობელესთა სულთა და აღვადგენ მათ შესაწუალებელად!.....

ადელაიდა გამოვარდა მაშინვე მის რჯულის გამტეხის სახლიდგან, და ესწრაფვებოდა განშორებას, არა მცოდნელი თუ საით თანამდებ არს წარსვლად. იყო თერთმეტი საათი საღამოსი, და განსვენებისა თჳსისათჳს არა ფიქრობდა;—განსხვავებული მისი ერთგულება არა ნებას-ჰრთავდა მისვლად ტრასტირსა შინა საწვეველსა, და ესე უსაგრძნობელესი დედაკაცი ისათნოებდა თჳს შორის იმედითა, რათა შემითანაერთოს თჳსი მე საწოლი ხაროსა შინა. არამედ იყო უკვე დაგვიანებულ, და მიჰმართა ერთსა პატივცემულს სახლსა, სადაცა გვაქჳნდა ოდესმე ერთობა, შეუდგა სინათლითა თჳალისა თჳსისათა, და დაურეკა კარნი, ჰკითხა სად ჰსცხოვრებს უფალი.... გაჰკვირდნენ ხილვასა ზედა ესდენ უდროოთ ამა დედაკაცისასა საშუალ ცარიელისა მოედნისა; არა-

მედ მსმენელთაგანმან ერთმან მის საკელისამ, რომელიცა იყო ყოვლისაგან პატივცემული, მოხუცებულმან დედაკაცმან ასწავლა სახლი მისი თჳსითა მძღვანველობითა. მუნ მისვლით უნდა განეღვიძებინათ ყოველნი, რომელნიცა ჩვეულებისამებრ ქალაქისა წვესოდიან ადრე; არამედ მრთლივ სახლეულთა მიიწვიეს ადელაიდა დიდის სიხარულით, და უჩვენეს ყოველი თანა-შემწეობა და ნუგეშისცემა, ვითარცა ითხოვდა მდებარეობა მისი.

მეორეს დღესა ადელაიდა, უძილოდ ქმნილი და ღამისა მის სულ ფიქრობით გამტარებელი, განიზრახვიდა, რომ ნამეტნავად რათ ეამაყა მოხელესა მას, თავის ქმრისა გამო, ვის კელითაცა იყო განსჯა ჩემი! შვიდსა საათს დილისასა, გაემართა თემის დეპუტატისაკენ, მცხოვრებსა მაშინ თჳსის თანამდებობისამებრ საშუალ მდინარეთა ინდრისა და ლუარისათაო დეპუტატი ესე, ვითარცა არქიეპისკოპოზი, იქმნა ქალისათჳს მსგავსად სხენარისა მის, რომელიცა, თუმცა იყო წინააღმდეგ წოდებისა მისისა, არამედ აღტკინებულთა სიამოვნებათა, სიახალგაზდისა და მშვენიერებისათა, აქჳან ესოდენ მრიელი მფლობელობა თჳთ უუმხეცესთ გულთა ზედა, რომელ ადელაიდამ მიიღო, თუმცა შრომით, ნება შემოსვლისა ჩემთან ხაროში და ნახვისა დღეში თჳთოს საათს. მეოფი მინიჭებულ ესოდენ დიდითა მხიარულებითა, მოჭფრინავს, არღა გამტარებელი ჟამისა, სახლსა შინა სატუსაღანოისასა, საკელითა უმაღლესისათა განახვამს კართა მისთა, მოახწევს ჩემს საწოლადმდე, და

დაეცემა ჩემზედა, მჭიდროჲსა სიყუარულითა გულ-შემოურილი....

დიდ-სულოვანო მეუღლევ! მიიღე აქ მოწმობანი წარმოთქმისა ჩემისანი. „გამოცდილებანი დაუბრკოლებელობასა და სიყუარულობისანი, რომელთაცა შენ-ჟამსაცა ჩემს თავისუფლობისასა არა მიშურვებდი მე, მით აწცა მწოვ ვნებულსა ჩემსა სისხლსა, უღრმესისა წულულობისაგან, განშორებითს შენითა ჩემდამი შემთხვეულსა.“—

თუმცა ხარო, რომელსა შინაცა მე შეპყრობილ-ვარ, არის სხუა არა რაჲმე, თუ არ უბრალო ოთახი ტუსაღთათჳს, ყოვლითურთ მით, ბრმანებანი მიცემულნი მცველთადმი, არიან არა უმცირეს სასტიკ; იგინი არიან წარმოებულ განცვიფრებით. უპატიურნი მისნი თანა მოზიარენი იშიშვიან მზვერაობისაგან; იმათ წინაუმსთ შიში, რომელ ვინმემ მათ მსხვერპლთაგანმან უ-უმხედველეს სხვათა არა განავრცოსმცა შორედ თუალნი უმანკოებისანი, და არა მოუვლინოს ყურად-ღება მთავრობისა; ხოლო ამისამებრ რათამცა იყოფოდენ დახსნასა ქუეშე დაუსჯელობისასა, ცხადად ამხობენ იგინი კანონთა და პატივთა კაცობრივთა. გარნა ჩემნი ამხანაგნი უბედურებისანი, ისახვიდენ სახეთა ზედა თჳსთა, ხან სათნოებასა, ხან სიმშვიდესა სულისასა, ვითარნიცა კეთილსა კაცსა ეფერებიან, და მით ურთიერთს ვენუგეშებოდით. ერთი მათგანი იყო საკმაო პატრონი ქონებისა, და კეთილის მყოფი მოყვასთა თჳსთა, რო-

მელსაცა არა რაჲ აქუნდა სხჳა ბრალი, გარდა დიდის ქონებისა. მეორე იყო უფროსი დიდის სახლკაცობისა და თავისიანებისა, მხოლოჲთა შრომითა თჳსითა გამოსაკვებისა, და თჳსის კეთილ გვამოვნობისა გამო, ზედა დაჰსცემიყო შური მტერთა; მესამე იყო მშვიდი მოქალაქე, მარადის უმრწემეს მეყუარებელი თჳსის მამულისა არა დამზოგველი მისდა სათნოებისა, რომლისაცა სიფრთხილეჲ ჰსჩვენებიყოთ საეჭვოდ, მისთჳს, რომე არა შეესვარა კელნი სისხლთა შინა ძმათა ანუ მეგობართა თჳსთათა. ერთის სიტყვით, მცირენი იყვნენ ჩუჱნ შორის ასეთნი, რომელნიცა არა ყოფილიყვნენ მსხვერპლად კაცის მჭამელთა, რომელნიცა აქცევდიან და აოხრებდიან ქალაქსა უბედურსა ტურს. ყოველნივე იგინი თჳთ, მოელოდინებოდიან, რომ მზაკვარობანი მათნი არა განხანგრძელებულ-იქმნებიან დაუსჯელად, რომელ კეთილ-დღეობა ერისა, ოდესმე დაეშენება სჯულთა ზედა ბრძენთა და კაცთ მოყუარეთათა, და რომელ გამოცდა, განმაცხოველებელი გონებათა, დასასრულ შეაერთებს ყოველთა კეთილთა მოქალაქეთა აჩრდილსა ქვეშე მართლისა განმგებელისასა; არამედ ჩუჱნ კვალად ვიყავით მისგან შორს, რათა მიგვეხწივნა ამასთანა მშჳდობიანს მინუტამდე; უკვე ცნობილ-გვყვეს, რომე ყოველნი მოვემზადნეთ სიკუდილად.

განვლო კნინლა სამმან თვემან; არამედ არცა სათხოვართა ჩემთა, ვერცა მეცადინეობათა ადელაიდისათა ვერ მალ-იდვეს ქმნად არცა თუ უმცირესი ცვლილება

ბედსა შინა ჩემსა. მე ვერცაღათუ მოვისწარ ცნობად მიზეზნი ჩემის შეპყრობისანი, და ვერ მალ-ვიდევ გამოთხოვად ვერა ვითარიმე განსჯილება. ამაოდ ველოცებოდი მფარველობასა ჰსჯულთასა: საჩივარნი ჩემნი არ გამოდიოდნენ გალავნისაგან ხაროჲსასა, და იმედი უკვე მიტევებდა მე, როგორც, დღესა ერთსა მოგვესმა ჩუენ გარედგან საკჳრველი ხმიანობა და აღრეულება მოსვლითა ახლისა თავისუფლისა ვინმესი, რომლისა მოსვლამ განაღვიძა სიცილი საპყრობილესა ზედა შეპყრობილთასა. ამისა საცნობელად მივეახლოვე, მე ვითარცა სხვანიცა, რათამცა მეცნა მიზეზი ამა შემთხვევისა, და განცვიფრება ჩემი იყო განუზომელ, ოდესცა ვიხილე სენარი თჳსის ბარბაროს ლაშქრითურთ, რომელნიცა ესოდენ ხშირად იყოფოდიან მისის უკაცურობისა საჭურველად. მომდაბლებული და ამღვრეული სახე მისი საკმაოდ აჩვენებდა მტკივნეულობასა, მღრეჯავსა სულისა მისისასა, უკვეთუ კი ბოროტსა კაცსა ეადვილება გრძნობად მონანებაჲ!

კაცი ესე, ესოდენ მოდრეკილი კეთილ-მდგომარეობასა შინა, იქმნა დაწყლულვილ ბოროტ ბედნიერებასა შინა. ვიდრემდე დაჰჭეო შემთხვევასა შინა, დაიცვა დიდ ზომიერება და ამპარტავანება, არამედ იქმნა მდაბალ და სამაგელ, ოდესცა განტევებულ-იქმნა ბედნიერებისა მიერ. იგი ღვრიდა ცრემლთა, და ჰსთხოვ..ა შენდობასა უბრალოთაგან, რომელნიცა მიემსხვერპლა ბოროტებისა თჳსისადმი, და რომელნიცა გარდაცვლილთა სასჯელი-

სათა მიემსგავსნენ მას. თჳთ იგი იყო აწ მსხვერპლად
ახლისა დამთრგვნელისა, და მით უმეტეს ღირს-იქმნა
შებრალებისა, რომელ არა იპოებოდა არცა ერთი არ-
სებაცა ქუეყანაზედ, რომელსაცა ეგულ-მტკივნეულა მცა
მისს გარდასახადზედ. არა მიმხედველი მის ყოველს
უსამართლოებასა ზედა, შევიბრალებდი მას მისის უბე-
დურებისათჳს, და დავივიწყე ყოველი ვნება, მის მიერ
ჩემდამო მოყენებული, რათამცა მივცე მას რომელიმე
ნუგეშის ცემა. მიუთხარ მას ყოველი მფლობელობასა
შინა ჩემსა მდგომარე თანაშემწეობა, და განვიყავ მას
თანა სიამოვნება, მიღებული ადელაიდასაგან. იგი იყო
უბედურ; არამედ ამა მხოლოობითსა მიზეზსა აქუნდა
წაუცილებელი მუქაფა ჩემსა ვნებასა ზედა. ამისთჳს
ვმეცადინეობდი მე და მოვიხმარე ყოველი მალი, რათა
დამერბილებინა შეწუხება მისი, და მიუწყავდი კეთილსა
ყოველს დროსა, — მანამდე იყო იგი შემჭირვებელ; არა-
მედ ვინ დაერწმუნება მას? უწაურწუმედილესი უმადლო-
ება, იყო საზღაურად ყოვლისა ჩემის სამსახურისა და
პატივისცემისა!

საერო დეპუტატმან, მისად მფარველად აღმოჩენი-
ლმან, გამოითხოვა საზოგადო უშიშროების კომიტეტი-
საგან განთავისუფლება მისი. არამედ აღურაცხელთა
ბოროტ მოქმედებათა, ესოდენ შურის მემიებელ ჭუვეს
ტურელნი, რომელ მრთელმა საზოგადოებამ, შეჭსთხი-
ზეს მრიელი და გამოუთქმელი წარდგინება მასზედა,
რომელ ითხოვონ დახსნა მისგან; და დანიშნულ იყვნენ-

ცა დესპანი წასასვლელად პარიჟსა შინა და თხოვად მისის გამოცვლისათჳს. სენარი, მყოფი წინასწარ ცნობილ ყოვლისა პირის პირ მისა განზრახულებისათჳს, განმგზავრდა მასვე ჟამს თჳთ, რათამცა უკუაბრუნოს ნაგვრგვინავი მას ზედა დაცემა. იგი მივიდა თვისთ თანა ერთ მზრახველებთან მუნ, რომელთაცა დღესასწაულობასა შინა წარადგინეს იგი საზოგადოობაში, ვითარცა დევნული შვილი მამულისა.

ღონის-მიებითა მრავალთა მანქანებათათა, საშიშარი კაცი ესე კვალადვე დადგინებულ-იქმნა მთავარად ერისა, უკმოიქცა დღესასწაულებითა ტურსა შინა,—უმეტეს განცოფებული, ვიდრე იყოლა ოდესმე. სასტიკებამ მოფენილმა მაშინ ყოველსა მალსა შინა თჳსსა, დააჯაჭვა მოქენეობა ტურის მცხოვრებთა და ყოველნი ემორჩილებოდენ უღელსა სენარისასა. მაშინ სვინიდისისა მიუხედველმა, მომხმარებელმა ბოროტად მალისა თჳსისამ, შეადგინა ახალი დავთარი დასაღუპავი, რომელსა შინა უპირატესობით დასტია ნათესავნიცა თჳსნი მეგობარნიცა; მე შთამწერამს შიგა დასაბამად წარწყმედილებისა. დანიშვნითა, რომელ განამრავლოს რიცხვი უბედურთა, რომელთაცა სიმხეცე მისი გასტუმრებულ-ჰყოფდა სასჯელსა შინა;—და ჩუ̃ნ მივიღეთ ბრძანება დასამზადებელად განმგზავრებისადმი.

მე აღარ მოგიწერთ თქუ̃ნ შეწუხებასა ადელაიდისასა, ოდესცა ჰსცნო ახალი ამბავი ესე. რაოდენსა მწუხარებად ოდესცა მიყვანილ-არს კიდურადმდე მისაცემს

მაღლისა, უძლურისა და უნაზესისა მეოცნებისა? მეუღლე ჩემი განჰკრთომილებასა შინა განზრახვილიყო, რათა დაეცა მასვილი მთრთოლარითა ჴელითა თჳსითა მკერდსა რჯულის გამტეხის სყნარისასა; არამედ, ოდესცა ჟამმან უკმოუქცია მას, მოხმარებაჲ განსჯისა, მსგავსი ამღვრევა, ეჩვენა მას უძლურ: იგი იმედეულობდა, რომ შესაძლოა მიიღოს ერის მართლ მსაჯულობისაგან სხჳაჲ რაჲმე; არამედ ვისდამი მალ ედვა მილტოლვად? ფრანცია იყო მაშინ შეზღუდვილ სისხლ-მღვრელობითითა მმართველობითა, ჰსპობდა უბრალოებასა; ერთი შიში, დამთრგუნველი სათნოებისა, აღიმაღლებდა ამაყსა შუბლსა თჳსსა და განავრცელებდა დაქცევასა უბედურის ჩუენის მამულისასა.

დაუსაბამელობა, ჰფლობდა მაშინ სრულიადითა ძალითა თჳსითა, და ყოველსა რიგსა და კანონსა ეწინააღმდეგებოდა; მან აღამაღლა განსხვავებულნი მფლობელობანი თჳსნი აღვილსა ზედა საზოგადოს მფლობელობისასა; დაუსაბამელობამ შეჰღრუბლა ყოველნი ცნობანი, განრყვნა გონებანი და გულნი, განაქარვა ყოველი წესი, ყოველი უწყება; განჰყო მსაჯულნი მოქალაქეთაგან; განჰრყვნა ყოველნი საზოგადო თანა-შეკრულებანი, განაქარვა წყარო მიწის მოქმედებისა, განაქრო სანთელი ვაჭრობისა და დაამსხვა ბურჯნი მრწმუნებლობისანი. ერთის სიტყვით, მაშინ თვალ და თვალ იშობებოდიან და აღიზრდებოდიან მეუდროებათა შინა ქარიშხალთასა, აღსახოცველნი თანაშეთქმულებანი, რომელნიცა დამა-

[illegible]ყლულებელ პატრონსან საზოგადოებისა, დასასრულ თავთა თჳსთა ჰთურვვნიდიან.

ესეთი იყო მდებარეობა დეპორტამენტისა ინდრისა და ლუავრისა, ოდესცა დაუწყნარებელმან სენარ დამნიშნა მე განსამრავლებლად რიცხვთა შინა თჳსთ სამსხვერპლოთათა. ორი თვე მრთლად ვიყავი მე განცალკევებულ საზოგადოებისაგან და უცნობელობასა შინა ვითარცა სხვანიცა მრავალნი, ბედისათჳს, რომელმანცა მომავლის დროჲსათჳს დამამზადა მე წარსაყვანად პარიჟსა შინა, და ვიყავ იძულებულ დატევებად უძვირფასესისა საყუარელისა ჩემისა.

ორის დღის წინათ ჩუენის განმგზავრებისა, უსილავი შემთხვეულება აძლიერებდა მოუსვენებლობასა ყოველთა შეპყრობილთასა. ნაწილი სახლისა სატუსაღოსი იყო შეზღუდვილ ცეცხლითა, და ფრიად განძლიერებული წვა ემსახურა სენარს მაგალითად, შემჭიდრვებად ცხოვრებანი ჩემნი უმეტეს. მეორეს დღეს ამა შემთხვევისას, განვემგზავრეს ჩუენ ყოველნი ერთისა პოვოზკით. ანტონი, რომელიცა სენარისა პოლიტიკამ განათავისუფლა, წავიდა ჩემსა სოფელსა შინა, რათამცა მოიყუანოს გაფუჭებული საქმე ჩემი წესად. მისვლა მისი მუნ მიუცილებლად იყო საჭირო.

ჩემის დატუსაღებისა დროდგან სარგებლობანი და შემოსავალნი ჩემნი იწარმოებოდიან ჴელთა მიერ უცხოთათა, მშიერითა და ვეცხლის მოყუარეთა მიერ, რომელნიცა უკვე ეცილებოდიან ურთიერთსა მამულსა ჩე-

მსა, დაფუძნებულნი მდგომარეობისა თჳსისანი დანამ-თენსა ზედა ჩემის ქონებისასა. მე იძულებითად ვჰსთხოვე ანტონის თან გამოყოლა ჩემთან პარიჟში, სადაცა ვჰსახოებდი ქონებად უფრო უმეტესისა საჭიროებისა მის სამსახურსა შინა. ცოლი ჩემი მყოფი იმ დღაებში დასაწოლი იძულებულ იყო დაშთენად ტურსა შინა და მოლოდებად აღდგომისა თჳსისა მშვიდობიან, და მე გაგიტყდებით, რომე ესე მძელი და სატირელი გაყრა იყო მოუთმენელი მწუხარებად და აღმატვირთებელად სულისა ჩემისა.

ჟამსა განმგზავრებისასა ტურიდგან გამოგვესალმნეს ჩუენ ყოველნი გულნი კაცთ მოყუარეთანი, რომელნიცა მტკივნეულმყოფნი ჩუენთჳს თანამოზიარებდენ უბედურებათა შინა ჩუენთა. მე თანამდებ ვარ მოხსენებად აქა პატივად სრულნება მექონი ერთი სუდიათაგანი, რომელმაცა გვიქმნა ყოველი შესაძლებელი დასალბილებელად სიმკაცრისა მათისა შეწევნად. — არა მძელ იყო დავრწმუნებულვიყავ მე, რომელ რიცხვსა შინა სუდიათასა, მაშინ თანამდებობათა მქონთასა, ცოტანი იყვნენ ამისთანანი, რომელნიცა იჩვენებოდიან ყოფად თანასმოვან გაწბილებულთა რჯული დებულებათა თანა ცოფის სენარისათა. სხვათა შორის დავინიშნე მე იგი ზემსკის ჩინოვნიკი, საჴელით ფილიპპე, რომლისაც კეთილოვნებად განგრძელდა ვიდრე მომავალს დრომდეცა. ესე საგრძნობელი კაცი არა ფიქრობდა გარდასხდომასა სჯულისა თჳსისასა, ესოდენ უბედურებისა ჩვენისა შემსუბუ-

ქებითა, რაოდენ იგი მისსა უფლობასა ზედა დამოკიდებულ იყო, და დიდ სულოვანმან მისმან მოქნეობამ, დაავიმცირა საგონებელი ესოდენ სამწუხრო მგზავრობისა. კეთილსულოვანი ფილიპპე, მცნობელი საკუთრად არცა ერთისა პყრობილთაგანისა, ზრუნვიდა საჭიროებათა ჩუენთათჳს, არა კელთ მძლევანელმყოფი სხვითა განლევიმებითა, ვითა გრძნობადითა კმა მყოფელობითა ნუგეშისცემად ვნებულისა კაცობრიობისა. და მიიღე აქ გამოთქმაჲ გულითადისა განხილვისა ჩვენისა! იგი-ესე ოდენვე მგრძნობელ-არს და უბიწო გულოვან, რაოდენ ნაჩვენებნი შენ მიერ სამსახურნი ჩვენთჳს იყვნენ უანგარო.

მგზავრობა ჩვენი იყო განხანგრძელებული და მრავალ შრომოვანი, არა მიმხედველნი პატიოსანისა ფილიპპეს მზრუნველობისა, რომელმაცა მოგვანიჭა ჩვენ პავოსკა თავსაბურავიანი, ვერ ვიყავით დახსნილნი ავდრისაგან და არცა გინებათაგან განრყვნილთა დარაჯათა. არაოდეს გზა არ გვიჩნდა ესოდენ მწარედ, — და ესოდენ მძელ; ჩუენ ვიარებოდით მალიან ნელად: ამღვრეულება და მწუხარება ყოველგნით გარს გვესხენ; ჩუენ ვიყვენით საშუალ ზამთრისა, და ჰავაჲ ამა წარსაწყმედელისა ჟამისა, არა მცირედ ეთანაშემწეებოდა ჩუენსა მდგომარეობასა. პავოსკანი ჩუენნი, სრულიად ყუთთა მიმსგავსებულნი, იყუნეს ყოვლით მხრით დახვრეტილ და დამტვრეულ, და ვიარებოდით ქვეითნი; ქარიშხალნი და თოვლი თავთა გარდაგვეფინებოდიან. და თუმცა ფრიად

მკირითა ფასითა გვაღირსებდენ ჩვენ ჩაღისა ზომებსა თანა მოდარაჯენი; არამედ ვერ მალგვედვა მაინც საკმაოდ დაგვეცვა თავი ჩუჱნი, ყინვისაგან რომელ არ ვყოფილ-ვიყვენით მას მიერ შეუწუხებელ. მრავალთა ჩუჱნთაგანს დაემრათ ფერხნი; ყოველთა მით სათანადო იყო. მივეხვნა ყოველნი ესე წყლულებანი არა მქონელთანებასა ჩვენებად არცა თუ უმცირესისა სარჩივრისა; ყოველი წარდგინება იქმნებოდამცა მიჩნეულ ამაყობისა მოქმედებად. ქალაქსა მისვლის ჟამს გვერიდენ ჩუჱნ განურჩევლად ერთიან, მველს დანგრეულს და უსამყოფელოს შენობაებში, ანუ მველს ნასაყდრალებში. არავის გვერთოდა ნება ხალხთან ხიმს გაცემისა; და უკეთუ მათვანი ვინმე გაჰბედვიდა გავლასა ახლოს ფანჯარისა ჩვენის საპყრობილისასა, მაშინვე გინებულ და გაუპატიურებულ იქმნებოდა დარაჯათაგან ხოლმე უკუნქცეული.

მასვე ჟამსა შინა განმაცალკევეს მე, არ ვიცი რისთჳს ამხანაგთა ჩემთაგან, და არა მიმხედველთა ჩემს სარჩივრისათა, წარმიყვანეს მე მარტოდ განსაკუთრებით ბნელსა ხაროსა შინა ლიუკსამბურღისასა.

მეუღლე ჩემი, არა მიმღებელი დიდხანს ჩემთჳს ცნობისა, იყო გამწარებულ; თუმცა ჯერეთ სრულიათ არ განთავისუფლებულიყო მშობიარეობისაგან: არამედ მოემზადა მარტო გამომგზავრებად ეგოდენ უშორესსა გზასა ზედა, რათა დარწმუნებულიყო თჳთ ჩემს ხიცოცხლეზე.—მიაბარა ნაშობი ქალი ჩვენი მზრუნველობასა მეგობრისა ჩუჱნისასა, და თჳთ მოვიდა პარიჟში, და და-

დგა მას სახლსა შინა სადაცა ჩემს ანტონის ჰქონდა ცხოვრება. ვიდრემდე კეთილსა კაცსა ჰქონდა ნება ჩემთან სიარულისა, არ იშურვებდა იგი ჩემთჳს სამსახურსა; არამედ მას დროდგან, ოდესცა ბარბაროსთა, მოსპეს სიარული უცხოთა ჩუენთან, სარწმუნო მსახური ესე, იქმოდა მრავალთა ცდათა, რათა კვალადღა ვესილე.— ჩემს მეუღლის მოსვლაზედ მიეცა მცირე იმედი რაჲმე; იგი ესოდენ დარწმუნებულიყო სიყუარულსა შინა თჳსსა ჩემდამო და სიმტკიცესა შინა თჳსსს, რომელ ჰრაცხდა უკვე განთავისუფლებასა ჩემსა სარწმუნოდ. ამა კეთილმა კაცმა არა უწყოდა, რაოდენ იყო სათნოება დათურგვნილ, და რაოდენითა შემლებითა მფლობელობდა უსჯულოება.

საყუარელი მეუღლე ჩემი დღესავე თჳსის მოსვლისასა, მისულიყო ეზოსა ლიუკსამბურღისასა;—ექმნათ მისთჳს უარისყოფა ამაყი მუნით, რომელთაცა სიცოფე ეთანაერთებოდა ზარავანდითა თჳთ მეუფროსეთა თანა; იგი დაემხო მათდამი მუხლ მოქცევით მიწად, რათამცა წერილი მაინც მოაწვდინონ ჩემდამი ნუგეშს საცემად.

„ნუგეშს ცემა!“ დაუყვირა მან ერთმან მოხელეთაგანმან; აი, რომ უწოდებენ გარდამეტებულს ზრუნვას; მერწმუნე მე, მას, მალე, მასში საჭიროება აღარ ექნება....“ მსგავსმან პასუხმან კინაღა დაისრნა გული ადელაიდისა; არამედ მეის მოეგო თჳსსავე გონებასა, და მიიღო სხუა და სხუანი განზრახვანი, და გონებიანმან

მან მოისწრო დასსმად ბალაზინისა წყლულებათა ზედა ჩემთა.

ჵი შენ! დიდ სულოვანო და შეუსადარებელო მეუღლეო!—შენ, რომელიცა იყავ მაგალითი და პატივი დასთა შენთა! ვითარ წარმოვსთქვა გამოუთქმელნი სიყუარული და ერთგულებანი შენნი! მერწმუნე, უკეთუ დაუდგრომელობა სასჯელისა დამიმზადებს მე დახსნასა აქაით, საგრძნობელი ხსენება კეთილ მოქმედებათა შენთა მარადის დამკმეოფვის უუსაამურესს ნუგეშად, და დაუვიწყებელ მაგალითად.

უწინარეს ვიდრელა გაუწყროთ თქუენ შველანი ადელაიდასნი, თანამდებ ვარ დავისსომო მე საკელი ანტონისა, რომელიცა ჩემთან მომავლობისათჳს შეპყრობილ იქმნა, ვითარცა მუხანათი, და მიცემულ სიკუდილად.

ცოლმან ჩემმან, რომლისაცა ერთგულება არა უმლურდებოდა, ამაოდ მოიწყინა თავი ცდითა ჩემს დახსნისათჳს;—ყოველნი, და არა ადელაიდა, შემდგომად ესოდენთა ამაოთა წვალებათა, მოაკლდებოდენმცა იმედსა ჩემის დახსნისასა; არამედ რაჲსა არა შემძლებელ არს ყოვად სიყუარული დედაკაცთა, დაუბრკოლებელთა ფიქრით, და გამბედავთა განზრახვათა შინა? მეუღლემან ჩემმან მიიღო ამაჲ განზრახვა დახსნად ჩემსა— ამა სასტიკის სასჯელისაგან ცბიერობითა, და აღსრულებად იგი, რაჲცა ვერ მიიღო ხვეწნითა და ვედრებითა. იგი გაეცნო ერთს მეპყრეს სახელით იოსებ, რომლისა მი-

ერცა იმედეულობდა საწადლისა აღსრულებასა, და გარდა უშკუობისა, აქუნდა კეთილი გულიცა მას, რომელიცა თანა დაჰყვა ესდენ შეწუხებისა ნუგეშ საცემად.

ცოლმან ჩემმან დაიყოლია იგი ჩემებრივისა სამოსისა ჩაცმად და ჩემსა ნაცვლად მალვით მოსვლად; არამედ, ყოველი ესე გამოიცვალა მსწრაფლ და მე ვიქმენ გარდაყვანილ სხვასა უმაგრესსა საპყრობილესა შინა, ზოგიერთასთან მცხოვრებთ ამხანაგებითურთ ჩემით.

იმედი რომელიცა მაქუნდა აქამომდე, მომშრტენ მე სამიშარს ვიწრო ჯურღმულში ჩავლათა, და უმეტეს მით, რომელ ვუწყოდი, მუნ მყოფთაგანნი ვერცაღა თუ ერთი ვერ გარრურჩებოდენ მოუკუდინებელად.

სახლი სადაც ჩუენ ვიყავით შეყრილნი, იყო ცოტად განსხვავებულ სხუათაგან რაჲმეს სინათლითა. სხვებრ. სუნთაგან, რომელიცა იდგა ურთიერთსა ზედა ბიყერილთ პყრობილთა, და რომელნიცა მუნვე წაიპილწებოდიან, განვისაზღვრეთ, წინათვე აუცილებელი სიკუდილი ჩუენი. საჭმელი ჩუენი იყო მიწვაშლა და უმი ცერცვი. ამაყთა და ცოფთა მცავთა ყოფათაგან ჩუენზედა მოყენებულთა, გვავიწყდებოდიან მწუხარებანი მის ჯურღმულისანი.

თუმცა მსგავსნი შეწუხებანი არ მომაკლდებოდიან მე, და რომელ არცა მქონდა იმედი ხანგრძლადღა დამეცვა დღენი ჩემნი, რომელთაცა პატივს ვცემდი მხოლოდ თანაშეკრულობისათჳს ადელაიდისა და უბედურისა მისის ასულისა, შობიდგანვე თჳსით სიმწარედ გან-

სამართლებულისა, არამედ არა ვუწოდდი მე თანაშემწედ სიკუდილისა, და თითქმის ველოდებოდი მას შეუშინებლად; არამედ დადვრომილ ვიყავ დაცვად ცხოვრებისა ჩემისა, რომელისაცა ვრაცხდი, ვითარცა შეერთებულსა მეოფობასთანა უბედურისა ადელაიდისათა. დღესა ერთსა, ოდესცა პრისტავი რიშარდი იყო მხიარულ ჩვეულებრივზე, მომცა მან მე წიგნი ჩემს სახელზედ, გასვრილი და გაშაებული ქონში, მთქმელმა რომე ორი კვირა მხოლოდ ჰგდო ჯიბეში, და რათა ამისა გარდასახდელად მომიზიდოს მე მხიარულება, იგი მომცემს მე ჟამსა მოსალაპარაკებლად ერთს ახალგაზდა მშუენიერს ქალთან, რომელიცა მოუსვენებელად ისურვებს ჩემს ნახვას, და თუ მასცა დაჰპირდა ნებასა მოსაყვანად ჩემთან;—გნებავსა ამისა ახდენა?

წაკითხვამან წერილისამან, რომელიცა იყო საყვარლისა მეუღლისა ჩემისა, აღარ მომცა დრო დამშობად ქვეშე ფერხთა მის პრისტავისათა, თაყვანის საცემელად, და საღამოსა ჟამზე, აღასრულა მან აღთქმაცა თჳსი, მოუყვანითა ჩემს საყვარლის მეუღლისათა.

მწელად მიჩნს წარმოთქმა მის შეყრის ჟამსა, ოდესცა მივეფრქვენით ურთიერთს;—წარმოიდგინეთ თჳს შორის, უკეთუ ძალგიძსთ, სიამოვნება ამა შეყრისა; და—თქუენ, განუცხოვლებელნო და სისხლ გრილოვანნო სულნო, ვისდამიცა აღტყინებულნი სიყუარულნი მარადის ყოფილან უცნობელ, განშორდით: ესე ხატე გრძნობისა, არა თქუენთჳს არს განჩენილ!

უკეთუ მალგჳედვასთ გამოსატყვად სულითადნი ჩუჱნნი შეყრანი; უკეთუ შესაძლებელ იყოსმცა თქუჱნდამი გრძნობად აღტყინვა ჩუჱნი, მალვიძსთ ეგრეთვე წარმოდგენად თჳსდა მწუხარებაცა ჩუჱნი, ოდესცა თანამდებ ვიყვენით გაყრასა კვალად. შეთანაწნულთა და მჭიდრ შეერთებულთა გვამთა ჩუჱნთა, ეჩვენებოდიან, რომე არაოდესლა მოშორდებიან ურთიერთსა.

ცრემლნი ჩუჱნნი დაგვდიოდენ წყაროსაებრ, და ამა უსაწყალობელესმა ნახვამ მოიყვანა სიბრალულსა შინა თჳთ იგი რიშარდი, მე ვგონებ, რომელ იგი პირველ რაოდენ გზით იყო თჳსს ჟამში, ვისამე შემბრალებელად. „ვითარიმცა არა იყოს ბედი, რომელიცა მომავალსა „მიმზადებს მე„ ვარქვი ცოლსა ჩემსა, დახსნილი მო-„ხვევისაგან» გთხოვ შენ მოითმინო იგი დიდსულობით. „უშენოდ ჩემო მეუღლევ! მივჰსჭვრეტდიმცა მე უთრთო-„ლველად მინუტსა ზედა დაბოლოებისა ჩემისასა; უშე-„ნოთ არავინ შემძლებელ არს მყოს მე თანაზიარ „ცხოვრებისა; არამედ უწყოდე, უკეთუ ღმერთი საწყალ-„ლისამებრ შენისა დამიხსნის მე აქედგან, მოვშორდეთ „მაშინ ამა მხეცებრთა კაცთა, ოჰ ჩემო საყუარელო „მეგობარო, ჩუჱნ განველტვნეთ მათ, იყავ მას ზედა დარწმუნებული.“

აწ მეგობარნო! გვჰრქუა რიშარდმან, მომწმედმან თუალთაგან გარდმომდინარის ცრემლისა. „დროა დაშორდეთ თქუჱნ ერთმანერთს,—აწ დროა საპყრობილის შემოწმებისა,—მოვლენ და დამნახველნი თქუჱნნი მი-

მცემენ მე სასჯელსა. ვისურვებდიმცა მარადის თქჳენს დაუშორებლებას, არამედ შიში ზეით უსასტიკეს არს თქჳენისა, ჩჳენთა მთავართაგან; — დაწყნარდით: მე მოვიპოვებ ოდესმე კვალად დონის მიებასა თქჳენის შეერისათჳს.

მართლად, ფრიად დავალებულ-მეო მე ამან̃ კეთილ სულოვანმან, ჩვენებითა ადელაიდისითა; არამედ ახალმან გამოცემულმან ბრძანებამ, მსწრაფლ შეჭკრნა გზანი ჩჳენის ნახვისანი. მაშინ ვიგრძნე მე სიმწარე, ვიდრე ოდესმე გატანჯულ-ვიყავ; მარად-დღე გვამზადებდენ სასიკჳდილოდ, და გაჭყვანდათ წესისამებრ თჳთოჲ, დღეში, ვინც შეხვდებოდათ, და ყოველ წამს, მოველოდებოდით ჯერსა, და მილი განქარწყელებულიყო ჩემთჳს.

დღესა ერთსა შემომიტანეს მე სალდათის დიდი პური, რომელსა შინაცა ვპოე ბარათი შემდგომის მოწერილობისა:

„ესე პორცია ანუ ულუფა პურისა იპყრობს ორსა „სერხსა და ერთსა საჭვრეთელსა: ესე მხოლოდი შემწე-„ობა რომლისაცა მალ ვიდევ მე თქჳენდამი მოხწევა, „მოიხმარეთ თქჳენდა განსათავისუფლებელად, და ღმე-„რთი თანა შემწე გექმნასთ უმანკოებასა შინა თქჳენსა.

მე ვცანი რა ჴელი ადელაიდისა, გული ჩემი აღივსო მხიარულების იმედითა: დარიგებითა ამით, უაღრესად აღმენთო მე უშრეტი სიყჳარული მისის ერთგულებისა, გარდმოცვივდა ნაკადათ ცრემლნი თჳალთაგან, დამხსოვნელსა ყოვლისასა, რაჲცა ცდანი მოეხმარნა

მას ჩემზედ, და ვიყავ მე იმ დღეებში გარდამხდელ მიზღვევისა ჩემის განთავისუფლებისათჳს.

მე მაშინვე დავერწმუნე ჩემთანა მეტუსაღეთა და გავუტყდი ხვაშიადი; ვინაჲდგან არავინ იყო ჩუჱნგანნი იმისთანა, ვისაც გულითად არ ენდომებინა განთავისუფლება. საჭირო იყო გაგვეკეთა გასავალი კედელსა შინა საპყრობილისა ჩუჱნისა. მყვანდნენ ამხანაგნი თოთხმეტნი, რომელთაცა ვარქვი, უბედურებაჲ გვცავს ჩუჱნ, სიკუდილი ბჭეთა საპყრობილესათა გვდარაჯებს, და მით გვიმტკიცებს ჩუჱნ კავშირსა მეგობრობისასა. ,,მეგობა-
,,რნო! ცამან მოგვივლინა ჩუჱნ ღონის მიებაჲ განსა-
,,თავისუფლებელად;—აი საჭურველნი მისნი, მიზეზნი
,,თქუჱნის შეპყრობილებისანი ჩემდა ცნობილ-არიან და
,,იგინი მაიმულებენ მე მონდობად თქუჱნსა ერთგულე-
,,ბასა ზედა. მე ვუწყი მდებარეობა ჩუჱნის საპყრობი-
,,ლისა, რომელიცა გვპირდება ჩუჱნ დახსნასა. მეგობა-
,,რნო! ნუღარ დავკარგავთ ჟამსა, ღამე მოვალს, დროა
,,მივმართო მუშაობას, არამედ, შემომფიცეთ მე პირველ:
,,უკეთუ განთავისუფლდეთ არ მოიხმაროთ წინააღმდეგად
მამულისა!

ყოველთა შეჰფიცეს მასზედ, და მაშინვე მიჰმართეს მუშაობასა. განიყვეს თჳს შორის ხერხნი, ლურსმანნი, და საჭრეთელი, რომელნიცა ცოლსა ჩემსა წარმოეგზავნა დასახსნელად; და კერკითა ამით, მოვისწარით გამოღება ჩარჩოსაგან ერთის რკინის ფანჯარის ღერძისა; და მორიგებით ვმუშაობდით იდუმალ ღამე და დღე; ერ-

თი ჩუჱნგანი გვეყენა ყარაულად, რათა მოსვლა ვისმე-სი წინასწარ ემცნობებინა.

მოვისწარ მე დიდის შიშით გავგზავნა ბარათისა ადე-ლაიდასთანა რათა მას მოეცადნა ჩუჱნთჳს დანიშნუ-ლსა მას ბარათში ადგილსა, მოშორებით ქალაქისა რომელიცა ბარათი გაუგზავნე მას ერთის შემოშვებულის ჩუჱნთან მოხუცებულის მეჰურის კელით; არამედ, ამი-სთანას გაბედვისა შიში ყოლე გამიმრავლდებოდა აწინ-დელზედ; ვინადგან ცნობითა მისითა, თანამდებ ვიქმნე-ბოდით უაღრესის სასჯელისა, და საქმისა დასრულება-მდე მოველოდებოდით უბედურებასა. დასასრულ, საქმე ჩუჱნი მოვიყვანეთ დაბოლოებაზედ და გამოვხვრიტეთ კედელში უკანით კრმოთ საკმაო გასავალი, როგორც რომ, ერთმან დიდმან მუნ მწოლიარემ ძაღლმან, ყეფი-თა, კინაღამ გამოგვააშკარავნა, რომლისაცა მსწრაფლა-დვე მოვისწარით დაყმიდება ჰურის ნატეხითა; — და ეს-რედ, ყოველნი მუნ მყოფნი თჳთო თჳთოთ განვეხრწე-ნით საჰყრობილესა მას სასტიკსა და მივედით სადაცა გველოდებოდა ჩუჱნ საყუარელი მეუღლე ჩემი. სხუა არღარა რაჲ დარჩომილ იყო ჩუჱნდა საფიქრებელად, რათა დაგვეცვალა ტან-სამოსელი სხვითა, და გარდა-ცვლითა წოდებისათა მიმღებელნი გზის ბაშვორთისა მივფარებოდით ქალაქსა მას, რომელნიცა ყოველნივე განმზადებულ-გვექმნა ჩუჱნ, საყუარლისა მეუღლისა ჩემ-ისა ღონის-მიებითა; — და ესრედ წარვემართეთ გზასა, ხოლო რათა მხარესა მას ვყოფილვიყავით უცნაურ,

ამისათჳს მივატანეთ ზღვისა კუნძულსა, რათამცა გვე-სარგებლნა მუნ განსვლითა პირველისავ ხომალდისათა ამერიკანელთ მხრისა კერძოთ.

ახალმა ამბავმა პარიჟსა შინა ჩუჱნის გაქცევისამ აწარმოვა მრავალი შფოთი. მუნიდგან გამოსვლისა შემდგომ შემჭიდრებულნი გულნი ჩუჱნნი იქმნენ ცოტ-ცოტად განცხოველებულ. მზე თუალთა ჩუჱნთა უმეტეს ბრწყინავად ეჩვენებოდა, ვითარიცა იყო. დღისა დასრულებისა შემდგომად ვიარეთ მრთლად ღამეცა, რათამცა ჩქარა განვევლო სამზღვარნი საშიშროებისანი.

მივედით რა მუნ, გაურიგდით მეხომალდესა, რომელიც მზათ შეგვხვდა მაშინ, და მეგემენი გვიწვევდნენ ჩუჱნ თავთავისად, და ვულოცავდით უკვე ერთმანერთს, რომ გადავრჩით ესეოდენს სასჯელსა, როგორც რომ მოსულმა ჟანდარმა შემიპყრა მე სახელითა ქალაქის სამამართლოჲსათა.

თუმცა ახალმან ამან ამბავმან განმისვნა ჯურღმული შთანთქმად; არამედ არ ვიყავ მით აღმღვრეულ, და წავყევ შემდგომად მტკიცითა გულითა. მიმიყვანა მან სასამართლოში, და მიმცა ჴელთა მოსამართლეთათა, სუდიანი მას სასამართლოსანი მამტყუვნებდენ მე, ვითამცა ვიპარებოდე სამზღვარს გარეთ, და მიმცეს მე საპყრობილედ, ვიდრემდე განსჯიან ჩემთჳს, და მით განმიახლეს განკარგული წყლულება ჩემი.

მიმცემმან ჩემმან საპყრობილედ არა მიმაბარა მე სასტიკ დასაცავად, და ერთი მხოლოდ ესე, კვალადვე

მაიმედოვნებდა მე; ჩუმსა შემდგომად მოიყვანეს სხვანიცა ესდენ სასტიკად ჴელ-გაკრულ, რომელ ლამოდა წამო-ხეთქასა სისხლისასა.

დაბრკოლება ჩემდა შემთხვეული, მით იყო უსაგრძ-ნობელეს ჩემთჳს, რომე ვსწუხდი ცოლისა ჩემისათჳს, რომელიც ხომალდში დამეტევებინა, და არა უწყოდა შე-მთხვევისა ამისათჳს, რომელმანცა დამაშორა ჴელ-ახ-ლად მისგან. მე ვეღარ გავბედე შემეტყობინებინაღა მი-სთჳს, რომელ არა აეტესარა თავისა თჳსისათჳს უცებ გამწარებულსა გვალად. რითაც უმეტეს ახლოვდებოდა საათი წასვლისა, მით უმეტესვე მდებარეობა ჩემი ყოვ-ნდებოდა შესაძნელებელად და მოუთმენელად. იმედი უკვე წარმხდებოდა მე, როგორც რომ შემდგომად სამისა სა-ათისა მოვიდნენ და მახარეს მე განთავისუფლება, და არა დამკარგველი ჟამისა, საჩქაროთ გავეშურე მე გემისაკენ, სადაცა მევანდა მე უძვირფასესი სიცოცხლისა ჩემისა; თუალნი ჩემნი ცუდადღა მიმოილივნენ ჭვრეტითა. მი-ველ მე თჳთ ადგილსა მას, სადაცა გემი იგი მელოდე-ბოდა მე; სასიკუდილომან ოცნებამან დაიუფლნა ყოვე-ლნი მწევრნი ჩემნი.... მე ვეღარ ვხედავ უკვე გემითუ-რთ მეხომალდესა. ვკითხულობ... ვრბი... და ვფიქრობ, რომელ ვსტყუვდები; და, ჵი ბედო უბედურო! მე მაუწყეს, რომელ ხომალდი ესე ორი საათია შეიტაცა ზღვისა ღელვამ, და აწ არის საშუალ ზღვისა!

(ხოვი მერე იქნება.)

ასანა ლეკის თავს გადასავალი.

(თავისვნითვე ნაანბობი.)

(შემდეგი.)

როდესაც მოვიდნენ ეაზასხები და მოჰყვნენ ურიები, ნახეს ცხენები და ჰსთქუა ერთმა ურიამ, ეს ცხენები ჩუენი არ არიანო. რომელმაც გაგვცა, ის კი ანბობდა, ცხენები გამოუცვლიათ, თქუენი ცხენები დაუმალავთ, გატყუებენო. მაშინ ჩემზედ აჩუენეს და ჰკითხეს ურიას: ამან გაგრცვცნაო? ურიამ შემომხედა, კარგად დამათვალიერა და სთქუა: ისე შევშინდი მაშინ, ისე ჭკუა დამებნია შიშისაგან, რომ აღარ მახსოვს ეგ იყო თუ სხუაო. ეტყობოდა რომ იმას ჩემი ეშინოდა. ამ ანბავში ხალხი მოგროვდა, როგორც ჩვეულება არის ამისთანა შემთხვევებში. იმისთანა მინუტი მოვიხელე, რომ ყაყანში ხალხიც, ეაზასხებიც, ურიებიც გართულნი იყვნენ და წყნარ წყნარა რა გამოვიპარე, გავიქეცი, იმათ შეიტყეს, მაგრამ რაღას უშველიდნენ, ეაზახების უფროს ებმანებინა ეაზასხებისათჳს, სადაც იყოს უნდა იპოვნოთ და ქალაქში სუდში უნდა წარმოადგინოთო.

იმ დღეს არაფერი, მეორე დღეს, გზის პირას ტყეში, ერთს ალაგს მაღალ-ბალახებში წაწოლილი ვიყავი და ურიებს ვყარაულობდი, რომ გამოეარათ. როდესაც ვნახე გამოიარეს, მე გავტრუნდი, ბოლოს დავინახე ერთი ურია და ვინც გამცა ისიც თან მოსდევდა, მოდიოდნენ. ამ დროს გამოვარდი ტყითგან და წინ რა გადავეღობე, შეუყვირე ერთ ურიას: მე შენ გაგრცვცენი ურიავ, მაგრამ რადგანც შენ ვერ მიცანი და ამითი პატიოსნება ისმარე, ეს უნდა მითხრა, ამ კაცმა ანბავი რომ მოგიტანა, რას დაჰპირდი საჩუქარს? ურიამ მიპასუხა: ორს თუმანსაო, სწორეთა მეთქი, ვკითხე, — სწორეთაო, მომივო შიშით. — მალიან იაფათ გაუყიდნია პურ-მარილი მეთქი, ამ წყეულს, რომელიცა დავიხსენი შიმშილით სიკჳდილისაგან. ახლავე ის ფული აქ მომეცი მეთქი! იმან მაშინათვე ჯიბეს ჴელი იკრა და მომცა. ის ფული რომ მომცა, ისევე უკან დაუბრუნე და უთხარი: აი შენი ფული; ახლა გამიგონე: თქჳჱნ ორნივენი ახლა ჩემს ჴელში ხართ, შემიძლიან ორნივენი დაგხოცოთ; მაგრამ რომ ახლა გაგიშოთ, მაშინ მე თქჳჱნს ჴელში ვიქნები, რადგანც შეგიძლიანთ შეატყობინოთ მართებლობას. იმათ დაიჩოქეს, მთხოვეს შეპატიებინა და დამპირდნენ ფიცით ეს შეხვედრა ჩჳჱნი არავისთჳს ეთქჳათ. შენ გერწმუნები, უთხარი ურიას და გიშვებ კიდეც, — მაგრამ შენ რა გიყო, ვკითხე ჩემს გამცემს, ერთხელ რომ აგრე იაფათ გამყიდე? იმან დაიწყო ტირილი და მეხვეწებოდა, მარწმუნებდა ერთს სიტყჳასაც არსად ვიტყვიო. წადი, უთხა-

რი მე, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, თუმცა ვხედავ რომ შენ არამზადა ხარ, მაგრამ მინდა რომ შენ გერწმუნო, რადგანაც მსურს, მოიშალო მაგისთანა უსვინიდისობა. მაგრამ გახსოვდეს და მოიგონე; თუ კიდევ მომატყუე, აგრე იაფათ ველარ მამრჩები. მაშინ, მიწაში რომ ჩამვრეთ, ორივეს იქიდან ამოგათრევთ; მაშინ მაგ თქუენ თავს გამოესალმენით.

როდესაც შინ დავბრუნდი, მოვიწვიე სახლში, ხუთი დამშეული, ღარიბი ჩემი სოფლის ლეკი იმ პირობით, რომ გადამეხადნა გიუზელა ქალის მამისათჳს, თავის ბოროტ მოქმედებისათჳს და უფრო ამისათჳს, რომ არ მასესხა პური გაჭირვებაში, მატყუა, ორი კვირა უკან მიდევნა, რა არის ევები მშივრები დავხოცილვიყავით. მე შევიტყე რომ იმას კიდეც დაეკვეხნა და ეთქუა სოფელში ბევრს ალაგს: კიდევ ცოცხალია ის ასანაო; ის ეთრეოდა ჩემთან პურისათჳს ორი კვირა, მლივს ფეხზედ იდგა შიმშილისაგან, ვფიქრობდი ამაღამ ველარ გაატანს მოკვდება და სახლობაც ამოუწყდება მეთქი და მეორეს დღეს კი, კარებზედ მადგა დაჩოქილიო.—ეს მინდოდა იმისათჳს გადამეხადა; იმისი ქალი გიუზელი, ფიქრშიაც აღარ მომდიოდა, რადგანაც გაათხოვეს კიდეც.

მეორეს ღამეს ჩუენ მივედით და ისე გავაღეთ ბოროტი მეზობლის კარები წყნარა, რომ სრულებით ვერავინ შეიტყო. ვიცოდი სადაც იძინებდა, მივედი ახლოს და დაუწყე გამოღვიძება, თან სახელს ვეძახდი. იმან შეშინებით გამოიღვიძა და კითხულობდა: ვინა ხა-

რო? უპასუხე მე. გიცანო, შენ ასანა ხარო. აბა კელი მომავლე კელში რა მიჭირავს მეთქი. ეს უთხარი და შევახე შიშველა ბასრი სანჯალი. ის შევარდა და მეხვეწებოდა, დამეფარა, თან მეუბნებოდა ტკბილის ხმით; ძმაო ასანჯან, რა გინდა მითხარი? მე შენ მოგაყენე სიკუდილი, რომელიც პირ და პირ გედგა, ამისათჳს, რომ ჩემის სიკეთის მაგიერად, შენ გინდოდა მოგეკალი შიმშილით, როგორც მე, ისე ჩემი სახლობა, მერე გიკვირდა კიდეც, რომ არ დავიხოცენით. ახლა ხმა გაიწევიტე, თუ კრინტი ამოგიღია, ამ ხანჯალს გულმუცელში დაგირევ. მე მიუყენე გვერდით ერთი ჩემი ამხანაგთაგანი, რომელსაც ხანჯლის წვერი იმის გულზედ დაბჯენილი ჰქონდა, მე კი ჩემ სხუა ამხანაგებით შეუდექი იმის ქონების საქმეს. ავიღეთ სამი ტომარა პური, ავრჩეთვე ჩავეარეთ ხურჯინში რაც გამომცხვარი პური ჰქონდა, ერბო, მარილი და ორიც ძროხა,—ბოლოს მიველი, ბოროტ კაცს რა გამოვეთხოვე, ურჩიე გათენებამდინ· იმ ერთს ალაგს ჩუმად წოლილიყო; ზედ კიდევ ეს დაუმატე: მე შენ მოგიტანე გირაოთ მამა-პაპეული იარაღი პურშია მეთქი, შენ არ მომეცი, ახლა ნუ გაწყრები და თუ გსურს ხვალ მეწვიე სადილათა ქეიფშია, სადაცა უნდა დავამლო შენ ანგარიშზედ, გლახები და მშივრები მეთქი.

რა ეს ნაცარცვი გავგზავნე ჩემს სახლში, დილით ბიძაჩემს გამოუცხადე რომ დღეს დიდი მეჯლიში მაქჳს მეთქი. მერე გავგზავნე ჩემი ამხანაგი ლეკები, სოფელში

ვინცა ვინ გლახა და ღარიბი იყო, ყველა მოეპატიჟნათ, ასე რომ არც ერთს მდიდარს იქ მოსვლა არ გაებედნა. ჩუენ დავკალით ორივე ძროხა, გამოვაცხვეთ ბლომათ პური, მოვხარშეთ ხორცი და იმდენი სტუმრები მოგვივიდნენ, რომ სულ ერთიან შეიჭამა რაც რამ იყო იმ ერთს დღესა.

გიუზელის მამამ რომელიცა ავიკელით იმ ღამეს ძლივს გაათენა მოუთმენლივ, მეორე დღეს წავიდა საჩივლელად პირ და პირ ალი-ფაშასთან, რომელიცა იყო ლეკების პირველი მებატონე· ალი ფაშამ მაშინვე იასაული გამოგზავნა რამდენიმე კაცები, ჩუენი სოფლის ნაცვალთან, რომელიცა იყო ბიძა ჩემი და იმ დროს რომელთანაც მე ვიყავი. იასაული ალერსიანათ მომესალმა და ხელი გამომიშვირა, მე არა ვიცოდირა და რა უნდა მეც ხელი მიმეწოდებინა, ბიძა ჩემა თვალით მანიშნა, იმავე დროს იასაულს ხელი ჰკრა, იქით გააგდო და უთხრა: მაგ ავაზაკს, როგორ კადრულობ და ხელს აძლეო; ართიც ვნახოთ ხანჯლით, მუცელი გაგიპოვო. ამითი ბიძა ჩემა მიმახვედრა რომ ჩემ დასაჭერად მოსულიყვნენ. მე მაშინვე უკან დავიწიე და რომ ბიძა ჩემი გამემართლებინა, ვიშიშვლე ხანჯალი და ვთქვი: შენი ბედი იასაულო რომ ნაცვალმა მოგარჩინა მეთქი! მერე გამოველი და მოუსვი. რომ ვერ დამიჭირეს, იასაულმა ბიძა ჩემი თურმე ბევრი ლანძღა, ბოლოს დაუმატა, სულ შენ აქეზებ იმასაო, წავალ ახლა და მაგას ყველას ჩუენს ბატონს უამბობო. რომელიც ავიკელით იმ ღა-

მეს ის ბოროტი მეზობელიც თან გაჰყვა იმ იასაულს, რადგანც ეშინოდა, ამაღამ კიდევ არ დამეცნენო.

სამი დღე, თუ ოთხი ტყეში მიმალული ვიყავი, მეხუთე დღეს, მივედი დილით ჩემს სახლში, სადაცა ვნახე მრავალი ხალხი სახლის გარშემო შემოხვეოდა. მე ამაზედ ჯერ დავფიქრდი, ვთქვი, უთუოდ ჩემ დასაჭერად მოსულან შეთქი. რა ახლოს მიველი, ვნახე ეს ამოდენა ხალხის ტირილის ხმა ცად აღიწეოდა, ყველა პურსა თხოულობდა. ამ ხალხში ზოგნი მოხუცებული კაცი და დედაკაცები იყვნენ, წვრილ ფეხობის ანგარიში ხომ აღარ ითქმის; ბევრნი ამათგანი მოსულიყვნენ; რომ გავარდნილიყო ჩემი საქელი, მშივრებს ეწევაო; შიმშილით უსათ გამოლეული ეს ხალხი ძლივს ღოღით ჩემ სახლამდის მისულიყვნენ. ერთი მოხუცებული კაცი, შევნიშნე გულ შეწუხებული დედამიწაზედ ეგდო, რის ყოფით გონს მოიყვანა მეორე მოხუცებულმა დედაკაცმა, ამოიღო ხურჯინითგან, რაღაც ბალახი და პირში მალათი სწრიდა. ეს რომ ვნახე ტირილი მომივიდა. მე მაშინათვე გავგზავნე კაცი სოფელში გამოსაცხადებლად, ვისაც გამომცხვარი პური ჰქონდა, მაშინათვე ჩემთან მოეტანათ და იმის მაგიერ ხორბალი წაეღოთ ჩემგან, ერთი ორად. ყველამ აღასრულა ჩემი ბძანება, ყველამ მოიტანა პური, ასე რომ დიდი გროვა პურისა დადგა, მე მაშინვე იმაში ხორბალი გაუცვალე ერთი ორად; ეს ხალხი დავსხი, დაურიგე პური და დავაძღე, მერე თითოს ნახევარ ფუთი ხორბალი გავატანე, გავისტუმრე

და დავარიგე, ამ ერთს კვირას ჩემ კარზედ არც ერთმა არ გაიაროს მეთქი, რადგანც პური სულ გამომელია და ერთის კვირის უკან, სულ ერთიან ისევე აქ მოდით და შეიყარენით მეთქი. ყველამ აღმითქუა, მადლობა მითხრეს და წავიდნენ.

გიუზელის მამამ რომ მნახა ხალხი მომადრიელებული მყვანდა, ვნახოთ ისიც მოვიდა შესარიგებლად, მხოლოდ ამ პირობით, რომ რაც პური წავართვი, ერბო, მარილი და ორი მროხა, უკან დამებრუნებინა, მე გავიხარხარე და ვკითხე: არა, რომელმა სულელმა და უგუნურმა გამოგზავნა მეთქი? მე თითონ მოველიო. მაშ თუ შენ თითონ მისულხარ, სულელიც შენ ყოფილხარ და უგუნურიცა მეთქი, როდესაც ხანჯლის წვერით გულზედ გადექი, მაშინ სხვას ანბობდი, როდესაც იჩივლე, მაშინ სხვასა და ახლა სხვა ხერხი მოგიგონია მეთქი. წადი, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, მე შენ უვნებელად გისტუმრებ მხოლოდ ამ პირობით, ახლავე წადი და ასი კაცის პური მზათ დაიჭირე თორემ ვაი შენი ბრალი მეთქი, ის შიშით შინ წავიდა.

ჩემი სახელი იქით მხრივ მრიელ განითქო და ამის გამო ბევრი ერთგული ამხანაგები ვიშოვნე, მაგრამ ყველა ჩემს ამხანაგებს ამას ვეუბნებოდი, ანგარებით არავინ აეკლოთ, მხოლოდ მშიერი ვინც იყო იმათ გულისათჳს, მდიდარისათჳს ერთმიათ, რომ მშიერი ღარიბი არ მომკვდარიყო, მინამ შიმშილი გადაწყდებოდა. ასე ამ სახით დავეცემოდით ხოლმე, ხან მგზავრს, ხან ვი-

სმეს სახლისა, მაგრამ ყოველთჳს შემძლებლებს, მერე ისიც იმისთანებს, რომელთაც ერთი გროში არ ემეტებათ ღარიბისათჳს; ისიც იმდენს ვართმევდი, რაც კანონით დადებული იყო. მთავრობისაგან გამოცხადებული იყო, ვისაც ბევრი პური ჰქონდა, მეოთხედი უნდა ღარიბებისათჳს მიეცა. ამას მდიდრები არ აღსრულებდნენ. ღარიბებმა ეს იცოდნენ, და რომ არავინ რას აძლევდა, ყალმაყლობდნენ; მეორეს მხრით მდიდრებიც უკმაყოფილონი იყვნენ, ამისთანა კანონის დადებისათჳს, რომელნიცა მალავდნენ თავიანთ ქონებასა. მე სახლში გავმართე სასოფლო, ან ასე ვთქუათ საქუეყნო სამზარეულო, სადაცა ყოველ დღე ცხვებოდა პური, იხარშებოდა ხორცი და სადაცა-ძღებოდა ღარიბი და ღატაკი ხალხი, მშიერი და უღონო. მე ჩემის ამხანაგებით გარეთგან შემომქონდა და ასე ვიკვებდით იმოდენა მშიერს ხალხსა. ხვალისათჳს ჩუენ არა ვზრუნავიდით, რასაც დღეს ვიშოვნიდით დღეს გამოვდიოდით, რასაც ხვალ, ხვალ. ჩემნი დები და ძმა, აგრეთვე ბიძა ჩემი სულ ფეხზედ ტრიალებდნენ და ესენი ემსახურებოდნენ ხალხსა ჭამის თუ მიცემის დროს. თან და თან მდიდრებს ლმობიერი გული შეექნათ, თან და თან იმათაც დაუწყეს ღარიბებს შემწეობის მიცემა, ამისათჳს რომ, რომელიც ღარიბი მდიდართან მივიდოდა და არ გაიკითხავდა, ის ჩემ სახლში მოვიდოდა, თუ მე იმ დროს შინ არ ვიყავი, ჩემს დას უანბობდა ამას, ჩემი დები მე მეტყოდნენ, მერე იმ ღამეს მე მიუხტებოდი იმ მდიდარს და

სულ ერთიან ავიკლებდი. ისე ეშინოდათ ამისი მდიდრებს, რომ არ შეეძლოთ ღარიბი უმოწყალებოთ გამოესტუმრებინათ.

ერთხელ საკმაო საზრდო რომ შემოვზიდე, რამდენიმე შევისვენე ჩემს სახლში, ამ დროს მოვიდა დედიდა-ჩემის შვილი და თავის სახლში გამიწვია, იმის სახლი იყო ჩუჱნის სოფლითგან ორმოც ვერსზედ მოშორებით. რომ წავსულიყავით უნდა ქალაქს ყუბაში გაგვევლო, ჯერ ყუბას არ მივახლოებულიყავით, რომ როგორღაც ცუდად შეიქნა, ჩემი დეთიდა-შვილი. გზაზედ, ქალაქს გარეთ ერთი ბაღი იყო, იმის პატრონის სახლს მივადექი და ვთხოვე, ძმა ავათ გამიხდა და გთხოვ ამაღამ აქ ბინა მოგვცეთ მეთქი. იმან იმ ღამეს ბინა მოგვცა, ცოტა ხილიც მოგვიტანა და თითონ კი უმალ სადღაც დაიკარგა. ნახევარ საათის უკან, ვნახე რომ თოფ-იარაღიანი კაცები გარს შემოგვერტყნენ, მარანგიანი ღამე იყო და ცხადად გავარჩიე. რამდენიმენი მოვიდნენ ახლოს და გვკითხეს, სადაურები ხართ, და აქ რისთჳს მოსულხართო? მე უთხარი, ამა და ამ სოფელში მივდივართ მეთქი, ძმა ავათ გამიხდა და დასასვენებლად აქ შემოვიყვანე მეთქი. იმათ მომიგეს, სადაც ლეკები შეგვხვდებიან, ბძანებაა უნდა, დავიჭიროთ და მთავრობას წარუდგინოთო. მე თუმცა ბევრი ველაპარაკე, მაგრამ არა მეშველარა, რომ ვნახე ამითი ვერას გავაწყობდი, ძმას ჴელი ვკარ, გამოვაღვიძე, ერთს კაცს თოფის კონდახი ძრიელ თავში დავკარ, ეს რომ ნახეს, სხვებმა უკან დაიწიეს და მე და ჩემი ძმა გამოვარდით ბაღითგან;—გავიქეცით. ამოდენა კაცები უკან დაგვედევნენ, მოგვეწივნენ, ამ დროს ვტაცე ერთს იმათგანს ჴელი და შემოვ-

კარ ხანჯალი, ეს რომ ნახეს, სხვები უკან შედგნენ დ̃ თან მოუვიროდნენ, ნუ მოჰკლავ მაგ კაცს დ̃ თავს დაგანებებთო. მე თავი დავანებე დ̃ წავედით; კიდევ რაღაც ფიქრი მოუვიდათ დ̃ გამოგვეკიდნენ. ახლა კი გავჯავრდი, ერთს თოფი ვესროლე დ̃ დავჭერი, მეორეს დავკარი ხანჯალი დ̃ მხარი გადავახეჩე. მაშინ კი სრულებით თავი დაგვანებეს. სტუმრათ ვიყავი დედიდა-ჩემთან სამი დღე დ̃ მერე ისევ დავბრუნდი.

სამი თვის შემდგომს, რა ჩემის ამხანაგებით ღარიბებს ულიდით, ყუმუხითგან ასლან-ხანს კაცი გამოეგზავნა ჩემთან დ̃ დავემახნე. მაშინათვე წაველი. ასლან-ხანმა იმ საათს თავისთან შემიყვანა დ̃ მკითხა: შენა ხარ შვილი მაიმად-ალისაო დ̃ შვილის-შვილი ფირ-ალისაო? მე მიუგე: გახლავარ მეთქი. მე ვიცნობდი ჰაპა შენ ფირ-ალის, მითხრა ასლან ხანმა,—ის მრიელ ვაჟკაცი იყო, მაგრამ როგორც ისმის შენზედ, თურმე შენ იმას გადაემატებიო; ანბობენ, ხალხი მალიან შეგიშინებია, მართლა ასე არისო? მე მოვახსენე, სწორეთ აგრე გახლავთ მეთქი დ̃ უანბე დაწვრილებით, მიზეზი, თუ რათ გავთულდი, ესეც დაუმატე, რასაკვირველია მთავრობასთან ვერ გავმართლდებოდი მაგრამ სვინიდისთან კი მართალი ვარ მეთქი. ასლან ხანმა მიბმანა დარჩომილიყავი სამუდამოდ იმასთან. მე უთხარი, დიდ ბედნიერებად მივიღებ თქუ̂ენთან დარჩომას, მაგრამ მოვალეობას რა უყო, მე რომ არ მივიდე ახლა, ბევრნი მშივრები დაიხოცებიან მეთქი. მინამ შიმშილობა არის, არ შემიძლიან დ̃ მერე გიახლები მეთქი. ასლან ხანმა მაჩუქა ერთი ჯელი კარგი ტანისამოსი, თოფ-იარაღი დ̃ ერთი კარგი ცხენი დ̃ გამომისტუმრა.

რა მოველი შინ, ისევ ჩემს ჯელობას მივყავი ჯელი, მაგრამ სასტიკად აღუკრძალე ჩემს ამხანაგებს, კაცი არ

მოეკლათ, ამაზედ მტკიცედ დავაფიცე, მხოლოდ მდიდ-
რი კაცისათჳს ერთმიათ ნაწილი, დღიურის საზრდო-
სათჳს ჩუჱნის თანამომმეთათჳს. ჩემს ეზოში ყოვე-
დღე ჲ ღამ იხარშებოდა საჭმელები ჲ ცხვებოდა პურ-
ამის გამო ჩუჱნი სოფლის გადაზიხორის გარშემო და-
სახლდა ალაჩუხებში დიდ მალი ღარიბი ხალხი წვრილ-
შვილებით, შორის სოფლებითგან მოსულებით.

გავიდა ნახევარ წელიწადი, ჩუჱნს ამხანაგებში იყო
ერთი ვაჭრის შვილი ყიზილბაში, ის იყო ყუბელი
იმან გამაცნო თავისი სახლობა. ერთხელ ილაჯი გა-
მიწყვიტა ჲ გამიწვია თავის სახლში. მე დავთანხმდი
ჲ ერთი ამხანაგიც ლეკი სხუა წავიყვანე. გზაზედ ლე-
კურად მითხრა ამ ამხანაგმა: ნება მომეცი ასან, ამ ყი-
ზილბაშს მოვკლამო. მე გავკვირდი ჲ შეუტიე, ეგ რო-
გორ გაბედე მეთქი. მე გარწმუნებ, ეგ ამხანაგი კი არა
ჩუჱნი გამცემიაო. გული მეუბნება, ეგ კაცი გაგვცემს
ასან ნუ წაჰყვებიო. მე არ გაუგონე ჲ წაველით. ქალა-
ქის ნაპირს, ტყეში შევისვენეთ, ის ყიზილბაში წინ წა-
ვიდა, სადილს მოვამზადებინებ, მოვალ ჲ შევიდეთ ჩემს
სახლშიო. ის რომ წავიდა, ერთი ყვავი მოვიდა ჲ თა-
ვზედ ჩხავილი დაგვიწყო. გესმის, მითხრა ამხანაგმა, ეს
ცუდი ნიშანი არის. ასან, ნუ წახვალო. მე ეს ამაოდ
მორწმუნება არა მჯეროდა. ამხანაგმა მითხრა, თუ არ
იშლი, შენ წადი, მეკი არ შემიძლიან ჲ რას დამაბა-
რებ მინდა მე დავბრუნდეო. მე უთხარი: თუ ამიტედა
რამე ჲ ველარ დავბრუნდი; ერთს გიანდერძებთ ჲ ის
აღასრულეთ მეთქი. ნურავის გაცრცვით ანგარებით, მხო-
ლოდ შიმშილის გულისათჳს ღარიბს ნუ დასჩაგრავთ ჲ
კაცს ნუ მოჰკლავთ მეთქი. ეს უთხარი, ის ყიზილბაში
მოვიდა ჲ წაველით.

(ზოგი მერე იქნება.)

1871 წელსა:

„ცისკრის" დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგზავნით, 8 მანეთი.

რედაქცია იმყოფება კუკიას ხიდზედ, მირზოევის შენობაში, მარტიროზიანის სტამბაში. ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის" რედაქტორს ი. კერესელიძეს,

ტფილისში.

Дозволено Цензурою 1871 г. 15 Августа.